

სააქციო საზოგადოება  
ფინკა ბანკი საქართველო

პილარ 3-ის წლიური ანგარიში  
2019

## სარჩევი

1. მენეჯმენტის განცხადება ანგარიშგების სისწორის შესახებ.....	3
2. ბანკის ძირითადი მაჩვენებლები.....	4
3. ბანკის სტრუქტურა (მშობელი, შვილობილები) .....	8
4. აქციონერთან დაკავშირებული საკითხები .....	10
4.1. აქციონერთა უფლებები .....	10
4.2. აქციონერების მიერ მიღებული შემოსავლები.....	11
5. კორპორაციული მართვა.....	12
5.1. სამეთვალყურეო საბჭო .....	12
5.2. კომიტეტები.....	17
5.3. დირექტორატი.....	23
6. რისკების მართვა .....	25
6.1. ბანკის სტრატეგია.....	25
6.2. რისკების მართვის სტრატეგია .....	26
6.3. რისკების კულტურა.....	27
6.4. რისკების მართვის სტრუქტურა.....	28
6.5. ძირითადი რისკები.....	32
6.5.1. საკრედიტო რისკი .....	32
6.5.2. საბაზრო რისკი.....	37
6.5.3. ლიკვიდობის რისკი.....	39
6.5.4. საოპერაციო რისკი .....	42
6.6. სტრეს ტესტები .....	46
7. ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია.....	47
7.1. ანაზღაურების პოლიტიკა .....	47
7.2. ანაზღაურების ცხრილები.....	50
8. დანართი, რომელიც მოიცავს იმ წლიურ ცხრილებს რაც ხარისხობრივი გამჟღავნების მაჩვენებლებზე არ არის მიბმული .....	51
9. დანართი 4Q 2019 კვარტალური ანგარიშგების ცხრილები.....	59

## 1. მენეჯმენტის განცხადება ანგარიშგების სისწორის შესახებ

ბანკის დირექტორატი ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით, წინამდებარე ანგარიშგება აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებს. რეგულაციის თანახმად, არ არის სავალდებულო პილარ 3-ის ფარგლებში გამოქვეყნებული ინფორმაციის აუდიტი.

## 2. ბანკის ძირითადი მაჩვენებლები

### საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი



2019: 20.59%

2018: 20.64%

#### საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი

კოეფიციენტი ინარჩუნებს სტაბილურობას. 2019 წლის განმავლობაში ბანკმა პროპორციულად გაზარდა საზედამხედველო კაპიტალი (გაზრდილი წმინდა მოგებით) და რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები. აღნიშნული ზრდა წმინდა საპროცენტო მარჟის შენარჩუნებით იქნა მიღწეული.

### მთლიანი კაპიტალის დაყოფა - პირველადი და მეორადი კაპიტალი (ლარში)



### უკუგება საშუალო აქტივებზე (ROAA)

2019: 1.14%

2018: 0.90%

#### უკუგება საშუალო აქტივებზე (ROAA)

2019 წელს საშუალო აქტივებზე უკუგების ზრდის ძირითადი მიზეზი გაზრდილი მომგებიანობა და გაუმჯობესებული ეფექტურობაა.

### უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROAE)

2019: 8.23%

2018: 6.63%

#### უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROAE)

2019 წელს საშუალო კაპიტალზე უკუგების ზრდის ძირითადი მიზეზი გაზრდილი მომგებიანობა და გაუმჯობესებული ეფექტურობაა.

### საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტი

2019: 11.16 %

2018: 12.09 %

#### საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტი

საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტი დათვლილია საოპერაციო ხარჯების გაყოფით სესხების საშუალო პორთფელზე. კოეფიციენტის გაუმჯობესების მიზეზი გაუმჯობესებული ეფექტურობაა.

## დეპოზიტების კოეფიციენტი





2019: 81.36%

2018: 58.44%

### დეპოზიტების კოეფიციენტი

კოეფიციენტი დათვლილია კლიენტების მიერ განთავსებული დეპოზიტების გაყოფით ბანკის მოზიდულ სახსრებზე. 2019 წელს ბანკმა შეამცირა მიღებული დაფინანსება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გაზრდილი დეპოზიტების ხარჯზე.

## დეპოზიტების და მოზიდული სახსრების დაყოფა ტიპების მიხედვით




## დეპოზიტების საპროცენტო ხარჯი

2019: 8.56 %

2018: 7.96 %

### დეპოზიტების საპროცენტო ხარჯი

2019 წელს გაზრდილი საპროცენტო ხარჯის მთავარი გამომწვევი მიზეზი შეცვლილი დეპოზიტების სტრუქტურაა - ლარის დეპოზიტების წილი მთლიან დეპოზიტებში გაიზარდა 2018 წლის დეკემბრის 70.1%-დან 2019 წლის დეკემბრის 76.8%-მდე.




## საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი

2019: 37.47%

2018: 57.75%

### საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი

2018 წელს გაზრდილი ლიკვიდობა განაპირობა მომდევნო პერიოდში დასაფარი ვალდებულებებისათვის აკუმულირებულმა თანხებმა.



**საბალანსო უწყისი (ლარი)**

აქტივები	საანგარიშგებო პერიოდი			წინა წლის შესაბამისი პერიოდი		
	ლარი	უცვ. ვალუტა	სულ	ლარი	უცვ. ვალუტა	სულ
ნაღდი ფული	4,861,486	5,339,414	10,200,900	7,798,263	6,813,453	14,611,716
ფულადი სახსრები საქართველოსეროვნულ ბანკში	10,708,570	21,519,624	32,228,194	12,716,435	18,031,097	30,747,532
ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	346,078	1,415,578	1,761,656	399,135	5,635,954	6,035,089
ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის	0	0	0	0	0	0
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	18,806,184	0	18,806,184	18,673,161	0	18,673,161
<b>მთლიანი სესხები</b>	<b>197,105,809</b>	<b>9,247,562</b>	<b>206,353,371</b>	<b>204,388,992</b>	<b>21,173,486</b>	<b>225,562,477</b>
<i>მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი</i>	<i>(8,715,055)</i>	<i>(1,433,351)</i>	<i>(10,148,406)</i>	<i>(7,826,883)</i>	<i>(1,786,164)</i>	<i>(9,613,047)</i>
წმინდა სესხები	188,390,755	7,814,211	196,204,966	196,562,109	19,387,322	215,949,431
დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	3,354,462	62,353	3,416,815	3,345,837	144,317	3,490,154
დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება	225,548	X	225,548	160,055	X	160,055
ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	0	0	0	0	0	0
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	11,895,782	X	11,895,782	6,342,226	X	6,342,226
სხვა აქტივები	3,040,714	210,070	3,250,784	2,319,153	1,179,775	3,498,929
<b>მთლიანი აქტივები</b>	<b>241,629,578</b>	<b>36,361,250</b>	<b>277,990,829</b>	<b>248,316,374</b>	<b>51,191,919</b>	<b>299,508,293</b>
<b>ვალდებულებები</b>						
ბანკების დეპოზიტები	0	0	0	5,000,000	0	5,000,000
მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები)	6,745,537	2,698,784	9,444,321	5,826,579	1,979,735	7,806,314
მოთხოვნამდე დეპოზიტები	18,861,429	12,239,870	31,101,299	10,164,149	7,929,921	18,094,070
ვადიანი დეპოზიტები	101,203,952	23,433,068	124,637,020	83,561,723	32,558,583	116,120,305
საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	0	0	0	0	0	0
ნასესხები სახსრები	38,513,195	0	38,513,195	77,144,441	11,241,720	88,386,161
დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები	4,162,262	529,795	4,692,058	3,960,504	902,944	4,863,448
სხვა ვალდებულებები	6,988,449	3,847,981	10,836,430	4,230,013	799,098	5,029,111
სუბორდინირებული ვალდებულებები	0	14,338,500	14,338,500	0	13,383,000	13,383,000
<b>მთლიანი ვალდებულებები</b>	<b>176,474,825</b>	<b>57,087,998</b>	<b>233,562,823</b>	<b>189,887,409</b>	<b>68,795,001</b>	<b>258,682,410</b>
<b>სააქციო კაპიტალი</b>						
ჩვეულებრივი აქციები	25,643,200	X	25,643,200	25,643,200	X	25,643,200
პრივილეგირებული აქციები	0	X	0	0	X	0
მინუს: გამოსყიდული აქციები	0	X	0	0	X	0
საემისიო კაპიტალი	0	X	0	0	X	0
საერთო რეზერვები	0	X	0	0	X	0
გაუნაწილებელი მოგება	18,784,805	X	18,784,805	15,182,683	X	15,182,683
აქტივების გადაფასების რეზერვი	0	X	0	0	X	0
<b>სულ სააქციო კაპიტალი</b>	<b>44,428,005</b>	<b>X</b>	<b>44,428,005</b>	<b>40,825,883</b>	<b>X</b>	<b>40,825,883</b>
<b>მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი</b>	<b>220,902,830</b>	<b>57,087,998</b>	<b>277,990,828</b>	<b>230,713,292</b>	<b>68,795,001</b>	<b>299,508,293</b>

**მიმდინარე მოვლენები - COVID19**

2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსით გამოწვეული რესპირატორული დაავადების აფეთქება გამოაცხადა პანდემიად. დაავადება, რომელიც პირველად 2019 წლის ბოლოს გამოვლინდა და ახლა კოვიდ-19-ის სახელითაა ცნობილი, დიდი ზეგავლენა იქონია მთელს მსოფლიოში ათასობით ადამიანზე. საპასუხოდ, ბევრმა ქვეყანამ შემოიღო დაავადებასთან ბრძოლისკენ მიმართული ზომები, რომელთაც ზეგავლენა მოახდინეს გლობალურ ბიზნეს-ოპერაციებზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის, ამას ბანკის ოპერაციებზე მნიშვნელოვნად არ უმოქმედია. თუმცა, ბანკი კვლავაც აკვირდება სიტუაციას და გარკვეული პრევენციული ზომები აქვს მიღებული კაპიტალის პოზიციის დასაცავად.

### 3. ბანკის სტრუქტურა (მშობელი, შვილობილები)

#### აქციონერთა სტრუქტურა

სს ფინკა ბანკი საქართველოს 100%-ს ფლობს FINCA Microfinance Cooperatief U.A., რომელიც რეგისტრირებულია ჰოლანდიაში ამსტერდამის სავაჭრო პალატის სავაჭრო რეესტრში ნომრით 53004698 და მისი ოფიციალური ოფისი მდებარეობს ამსტერდამში (“კოოპერატივი”).

კოოპერატივის წევრები არიან:

1. FINCA Microfinance Holding Company LLC (FMH), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია ამერიკის შეერთებული შტატების დელავერის შტატის კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია მისამართზე ცენტერვილის ქ. 2711, კომპლექსი 400, უილმინგტონი, დელავერი 19808, ამერიკის შეერთებული შტატები. ფინკა მიკროსაფინანსო ჰოლდინგური კომპანია ფლობს 99 ხმის უფლებას.
2. FINCA International LLC, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია ამერიკის შეერთებული შტატების, მერილენდის შტატის კანონმდებლობის შესაბამისად შემდეგ მისამართზე აღმოსავლეთი ჩეიზის ქ. 11, ბალტიმორი, მერილენდი 21202, ამერიკის შეერთებული შტატები. ფინკა ინტერნეშენელი ფლობს 1 ხმის უფლებას.



**FINCA Microfinance Holding Company LLC- ის აქციონერები არიან:**

<b>წევრის სახელი</b>
FINCA International Inc.,
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)
KfW - გერმანიის განვითარების ბანკი
FMO -ნიდერლანდების განვითარების ბანკი
Credit Suisse Microfinance Fund Management Company, რომელიც მოქმედებს გლობალური მიკროსაფინანსო ფონდი responsAbility უფლებამოსილებით
Triodos Investment Management
Triple Jump, რომელიც მოქმედებს ASN-NOVIB ფონდებისთვის

**FINCA International Inc.**, წარმოადგენს არაკომერციულ კორპორაციას, რომელიც მოქმედებს ნიუ-იორკის შტატის კანონმდებლობის შესაბამისად, მისი წევრები არ ფლობენ წილს **FINCA International Inc.**, - ში და არ გააჩნიათ ეკონომიკური უფლებები. ამ დროისათვის **FINCA International Inc**-ის წევრები არიან:

- რუპერტ სკოფილდი
- ჯონ ჰეჩი
- რობერტ ჰეჩი
- რიჩარდ უილიამსონი

**ბანკის მაკონტროლებელი იურიდიული პირის სხვა შვილობილი საწარმოები**

სახელი/სახელწოდება	სახელი/სახელწოდება
FINCA Micro-Credit Deposit Organization LLC	Specialized Micro Loans (Pvt Sh Co)
FINCA Tanzania Limited	FINCA Micro-Credit Company CJSC
FINCA Uganda Limited	FINCA Plus LLC
Fundacion Internacional Para La Asistencia Comunitaria de Guatemala	Foundation for International Community Assistance (FINCA Limited)
FINCA Africa IT Service Center Ltd	FINCA Afghanistan ( FINCA Afghanistan JSC)
FINCA Zambia Limited	FINCA Capital Fund LLC
FINCAServicios - Latinoamerica SA	FINCA Universal Credit Organization CJSC
FINCA Zambia Holding Limited	FINCA Charity Foundation
Nederlandse Financierings Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V.	FINCA Azerbaijan LLC
MFSI Guatemala SA	Micro-Finance Solutions, Inc (MFSI)
FINCAServices USA LLC	FINCA D.R. Congo sarl
FINCA Microfinanzas, SA	Banco Para La Asistencia Comunitaria FINCA SA
FINCA Microfinance Bank Limited	Fundacion Internacional Para La Asistencia Comunitaria del Ecuador
FINCA Haiti SA	Foundation for International Community Assistance
FINCA Microfinance Bank Limited	Financiera FINCA Nicaragua, SA
FINCA Haiti	FINCA Kosovo S.h.A.
FINCA Honduras	
(Sociedad) Financiera FINCA Honduras, SA	

## 4. აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები

### 4.1. აქციონერთა უფლებები

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს ბანკის მმართველობის უმაღლეს ორგანოს. აქციონერთა საერთო კრების მოწვევა ხდება ყოველწლიურად ან რიგგარეშე სხდომებით. ყოველწლიური კრება იმართება წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგების დახურვიდან ორი თვის განმავლობაში.

**აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია:**

ა) შეცვალოს ბანკის წესდება, მათ შორის განახორციელოს ცვლილებები სააქციო კაპიტალში, შეცვალოს ბანკის კომერციული დასახელება ან მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის ლიკვიდაციის საკითხზე;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება გაერთიანების ან გაყოფის საკითხზე;

გ) ნაწილობრივ ან სრულად გააუქმოს აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის გაზრდის საფუძველზე, სხვა აქციონერის მიერ წილების გაყიდვით ან ბანკის მიერ სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებით;

დ) მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან მმართველი საბჭოს წევრების შემოთავაზებები, რომლებიც უკავშირდება მოგების გამოყენებას ან მიიღოს გადაწყვეტილებები წმინდა მოგების გამოყენების შესახებ, თუ აღნიშნული ორგანოები ვერ წარმოადგენენ შეთანხმებულ წინადადებას;

ე) დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელობის პირების ანგარიშები;

ვ) აირჩიოს ან გაათავისუფლოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების და მათთან ხელშეკრულების გაფორმების საკითხი;

ზ) აირჩიოს აუდიტორი ან სპეციალური რევიზორი;

თ) მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოს წევრების და ხელმძღვანელი პირების წინააღმდეგ სასამართლო პროცესებში მონაწილეობის თაობაზე; დანიშნოს თავისი წარმომადგენლები ზემოაღნიშნული ქმედების განსახორციელებლად;

ი) მიიღოს გადაწყვეტილებები აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების და გაყიდვის შესახებ წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

## 4.2. აქციონერების მიერ მიღებული შემოსავლები

2011 წლის 18 ნოემბერს „ფინკა მიკროფინანს კოოპერატივსა“ და სს „ფინკა ბანკ საქართველოს“ შორის ხელმოწერილი ინტელექტუალური ქონების ლიცენზირების ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბანკი მეორე მხარეს გადაუხდის როიალტის მთელ სამომავლო საპროცენტო შემოსავალზე. ამჟამად არსებული დაანგარიშების მეთოდის შესაბამისად ბანკი იხდის საოპერაციო შემოსავლის კონკრეტულ პროცენტს. 2019 წლის განმავლობაში ბანკის მიერ გადახდილმა როიალტიმ შეადგინა 1,561,389 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ და „ფინკა მიკროფინანს კოოპერატივს“ შორის, ასევე არსებობდა მენეჯმენტით მომსახურების ხელშეკრულებაც (რომლის მოქმედება მხარეთა შეთანხმებით შეწყდა 2018 წლის 6 აგვისტოდან). ბანკი იხდიდა მენეჯმენტით მომსახურების საკომისიოს. 2018 წლის განმავლობაში ბანკის მიერ გადახდილმა მენეჯმენტით მომსახურების საკომისიომ შეადგინა 1,543,832 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

## 5. კორპორაციული მართვა

ფინკა ბანკი საქართველოს კორპორაციული მმართველობის ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი, თითოეულს გააჩნია საკუთარი პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკის წესდების თანახმად.

### 5.1. სამეთვალყურეო საბჭო

ფინკა ბანკი საქართველოს სამეთვალყურეო საბჭოს უპირველესი მოვალეობაა:

- რისკების მართვა,
- ბანკის შიდა კონტროლის ეფექტური სისტემის უზრუნველყოფა,
- ბანკის ზედამხედველობა, ფინკას მისიის და სტრატეგიის განხორციელების, ფინკას ქსელის შიდა პროცედურებთან, შესაბამის კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის კუთხით.

სამეთვალყურეო საბჭო ასევე პასუხისმგებელია ფინკა ბანკი საქართველოს ოპერაციების შეფასებასა და ზედამხედველობაზე, ბანკის სადამფუძნებლო და სხვა არსებული დოკუმენტების, თუ მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.

აქციონერთა საერთო კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც შედგება 3 (სამი)-დან 21 (ოცდაერთი) წევრამდე. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი არჩეულია ოთხი წლის ვადით. საერთო კრებას ნებისმიერ დროს შეუძლია გადაირჩიოს ან ხელმეორედ აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვადის დასრულებამდე. ასევე, ნებისმიერ წევრს შეუძლია გადადგეს ნებისმიერ დროს. სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ მინიმუმ 3 (სამი) თვეში ერთხელ.

სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად ახორციელებს თვითშეფასებას საბჭოს საქმიანობასთან, არსებულ პროცესებთან, ეფექტურობასთან, შემადგენლობასა და საბჭოს წევრთა შესაბამისობასთან დაკავშირებით. შეფასების შედეგებს განიხილავს აქციონერი.

**სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება და მიზნები:**

- ა) მეთვალყურეობა გაუწიოს დირექტორატის საქმიანობას;
- ბ) დანიშნოს და გაათავისუფლოს ხელმძღვანელი პირები, გააფორმოს მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მათი ანაზღაურების და სამუშაო პირობებს;
- გ) განსაზღვროს ხელმძღვანელ პირთა უფლებები და მოვალეობები;

დ) ხელმძღვანელი პირებისგან გამოითხოვოს ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული ანგარიშები;

ე) გააკონტროლოს ბანკის ბუღალტრული წიგნები და ჩანაწერები, ფულადი სახსრები, საკუთრება და სხვა ფასიანი ქაღალდები ან ეს საქმე მიანდოს ექსპერტებს;

ვ) მოიწვიოს აქციონერთა საგანგებო საერთო კრება, თუ ეს საჭიროდ ჩაითვლება ბანკის ინტერესებისათვის;

ზ) შეამოწმოს: წლიური ფინანსური ანგარიში, წინადადება მოგების განაწილების და ინფორმაცია ბანკის მდგომარეობის შესახებ და საკუთარი მოსაზრებები წარუდგინოს საერთო კრებას;

თ) მოამზადოს საკუთარი ანგარიში საერთო კრებაზე წარსადგენად;

ი) წარმოადგინოს ბანკი ხელმძღვანელი პირების წინააღმდეგ სამართლო წარმოებაში;

კ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

**ქვემოთ ჩამოთვლილი საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წერილობითი თანხმობით:**

ა) ახალი ინვესტიციების გაკეთება და ახალი საწარმოების დაფუძნება;

ბ) ქონების შეძენა ან გაყიდვა, ბანკის უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა და სხვა მსგავსი აქტივების უფლებრივი დატვირთვა;

გ) ბანკის მიერ სესხებისა ან კრედიტების აღება;

დ) ფილიალების, განყოფილებების (სერვის ცენტრები) და წარმომადგენლობითი ოფისების შექმნა და ლიკვიდაცია;

ე) ხელმძღვანელი პირების მიერ შემოთავაზებული ფილიალის, განყოფილებების (სერვის ცენტრები) და წარმომადგენლობითი ოფისების მენეჯერების კანდიდატურების დამტკიცება;

ვ) ინვესტიციების განხორციელება, არა ჩვეულებრივი საქმიანობის რეჟიმში;

ზ) ახალი კომერციული საქმიანობის დაწყება;

თ) ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის და მიზნების განსაზღვრა;

ი) საერთო სამუშაო პირობების პრინციპების, თანამშრომელთა უფლებების და ხელმძღვანელი პირებისა და სხვა თანამშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფის განსაზღვრა;

კ) სავაჭრო წარმომადგენლების დანიშვნა ან გათავისუფლება;

ლ) საერთო კრების გადაწყვეტილების განხორციელება ბანკის აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე დაშვებაზე;

მ) მენეჯერების ჩართულობის პრინციპების განსაზღვრა მოგებასა და სხვა მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში, ასევე მათთვის საპენსიო პრინციპების განმარტება და აქციონერთა საერთო კრებისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ნ) ყველა სახის ტექნიკური დახმარების ხელშეკრულების, ნოუ-ჰაუს და სალიცენზიო ხელშეკრულებების დამტკიცება.

ბანკის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები, მათ შორის - რისკების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკები, განიხილება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. განიხილვა ხდება საბჭოს რიგით სხდომებზე ან საჭიროებისამებრ, რიგგარეშედ.

ფინკა ბანკი საქართველოს სამეთვალყურეო საბჭო შედგება შემდეგი წევრებისაგან:

#### **ფლორინ ლილა**, თავმჯდომარე

ფლორინ ლილა ფინკას 2012 წელს ფინკა კოსოვოს რეგიონალური დირექტორის მოადგილის პოზიციაზე შემოუერთდა, ხოლო შემდგომ დაიკავა აღმასრულებელი დირექტორის პოზიცია. როგორც ვიცე პრეზიდენტი და ევრაზიის რეგიონალური დირექტორი ის ევრაზიის რეგიონში არსებული ყველა ქვეყნისა (კოსოვოს გარდა) და წარმომადგენლობის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა და მათ სათანადო ფუნქციონირებაზე ზრუნავს. ფლორინ ლილა, ასევე, FINCA Impact Finance-ის მენეჯმენტის გუნდის წევრია.

ფლორინს მდიდარი საბანკო გამოცდილება და გამორჩეული აკადემიური განათლება გააჩნია. მას საბანკო სექტორში 13 წლიანი გამოცდილება აქვს, რომელთა შორისაცაა განასა და კოსოვოში აღმასრულებელი მენეჯმენტისა და დირექტორთა საბჭოს წევრობა.

ფლორინ ლილა სტენფორდის უნივერსიტეტის (გაერთიანებული სამეფო) მაგისტრია ბიზნეს ანალიზის ეკონომიკის მიმართულებით.

#### **ფოლკერ რენერი**, წევრი

ფოლკერ რენერს მიკროსაფინანსო სფეროს ტოპ მენეჯმენტში ოთხ კონტინენტზე მოღვაწეობის ოცწლიანი გამოცდილება გააჩნია. 2004 წლიდან 2016 წლამდე ის FINCA International-ის საკრედიტო და სადეპოზიტო მიმართულების ვიცე პრეზიდენტი, გლობალური ოპერაციათა დირექტორი და ფინკა ევრაზიას რეგიონალური დირექტორი იყო. ფინკამდე ფოლკერი უკრაინის პროკრედიტ ბანკის აღმასრულებელი დირექტორისა და რუსეთსა და უკრაინაში საბანკო მრჩეველის პოზიციებს იკავებდა. ფოლკერ რენერს მრავალ მიკროსაფინანსო

ინსტიტუტსა და ბანკში დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეობის, წევრობისა და აუდიტის კომიტეტის წევრობის გამოცდილება გააჩნია.

### **ჩიკაგო კუნო, წევრი**

ჩიკაგო კუნოს აღმოსავლეთ ევროპის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ზრდად ბაზრებზე მუშაობის 30 წლიანი გამოცდილება აქვს. სანამ ფინკას გუნდის წევრი გახდებოდა, ჩიკაგო კუნო ლონდონში, EBRD-ის მცირე ბიზნესის ფინანსური გუნდის დირექტორი იყო. გარდა თავისი კომერციული საბანკო კარიერისა, მას ინვესტიციების, ფინანსური პროექტების, პორტფოლიოს მენეჯმენტისა და სინდიკაციების გუნდების მართვის გამოცდილებაც აქვს.

ჩიკაგო კუნო, ასევე, მსახურობდა Peace Corps-ის მოხალისედ ჩილესა და ჰონდურასში. ის ფლობს ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს საერთაშორისო ეკონომიკაში და ჩრდილო კაროლინის უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს.

### **სრიდჰარ სრინივასანი, დამოუკიდებელი წევრი**

სრიდჰარ სრინივასანი შეურთდა ფინკას, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, 2019 წელს. სრიდჰარ სრინივასანი 2013 წლიდან წამყვან გლობალურ მენეჯმენტ საკონსულტაციო კომპანია ოლივერ ვაიმანში მოღვაწეობს. ის ინდოეთსა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში არსებული წამყვანი ფინანსური კომპანიების დირექტორებთან და სხვა ხელმძღვანელებთან მენეჯმენტ სტრატეგიის, კლიენტების დაფარვის მოდელების, პროდუქტის გავრცელების სტრატეგიის და სხვა თემების შესახებ მუშაობს.

სრიდჰარი ფინანსური სერვისების ექსპერტია. მას როგორც ინდოეთში, ასევე საერთაშორისო კომპანიებში მუშაობის 30 წლიანი გამოცდილება აქვს. ის 28 წლის განმავლობაში თანამშრომლობდა სითიგრუპთან და აზიაში, ევროპასა და აფრიკაში 6 ქვეყანაში მუშაობდა. სითიგრუპში მისი პოზიციები მოიცავდა სამი ქვეყნის ფილიალის დირექტორობას, ინდოეთის კორპორატიული ბანკის ხელმძღვანელობას, აფრიკის ტრანზაქციული სერვისების ხელმძღვანელობასა და აფრიკის, ცენტრალური-აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აღმოსავლეთის საბანკო სერვისების მომსახურების ხელმძღვანელობას. სრიდჰარს კორპორატიულ და საინვესტიციო ბანკინგში, პროდუქტის მენეჯმენტში, რისკ მენეჯმენტსა და საკანონმდებლო შესაბამისობაში საერთაშორისო საბანკო გამოცდილება გააჩნია.

სრიდჰარ დელის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

პოლდინგს ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებს წარმოადგენენ:

1. Richard M. Williamson
2. Monish K. Dutt
3. Johannes Feist
4. Shawn Hassel
5. Robert W. Hatch
6. Andree Simon
7. David Weisman
8. Soula Proxenos
9. Holly Morris



## 5.2. კომიტეტები

### ფინკა ბანკი საქართველოს სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

ფინკა ბანკი საქართველოს სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტს, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტს (“ALCO”) და რისკების კომიტეტს. კომიტეტებს მოეთხოვებათ, ანგარიში ჩააბარონ სამეთვალყურეო საბჭოს იმ საკითხებზე, რომლებიც შედის მათი უფლებამოსილების სფეროში (განმარტებულია კომიტეტის დებულებაში) და მასვე წარუდგინონ რეკომენდაციები.

### აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტი

სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტის წევრებს 4 წლიანი ვადით (2018 წლის 1 ივნისიდან, აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან). აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტის წევრის უფლებამოსილება გაგრძელდება მის ჩანაცვლებამდე. წევრის უფლებამოსილება შესაძლებელია გაგრძელდეს იქნას ერთი ან მეტი დამატებითი ვადით.

აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტი შედგება 3 (სამი) წევრისაგან. აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტის რიგითი სხდომა კვარტალში მინიმუმ ერთხელ იმართება. რიგგარეშე სხდომები იმართება სამეთვალყურეო საბჭოს ან აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარის მოთხოვნით.

ამჟამად აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტის წევრები არიან:

- ჩიკაკო კუნო, თავმჯდომარე;
- სრიდჰარ სრინივასანი, წევრი.

აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტის კომპეტენციაა:

- დაადგინოს საბუღალტრო კონტროლის შესაბამისი წესები, კონტროლი გაუწიოს მათ დაცვას და შეამოწმოს საანგარიშგებო და ბუღალტრული ჩანაწერები ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტთან ერთად;
- ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის საქმიანობის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან;
- დაამტკიცოს შიდა აუდიტის პოლიტიკა და ორგანიზება გაუწიოს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის ოპერაციებს;

- უზრუნველყოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ობიექტურობა და დამოუკიდებლობა დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოსაგან;
- დაამტკიცოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის სამუშაო გეგმა მომავალი ფისკალური წლისათვის;
- განიხილოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ყველა კვარტალური ანგარიში და დაამტკიცოს და წარუდგინოს აუდიტორული დასკვნები და რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატს;
- მონიტორინგი გაუწიოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის საქმიანობას, მისი ფაქტობრივი შედეგების შედარებით, მის სამუშაო გეგმასთან ყოველ კვარტალურად და ყოველწლიურად;
- შეაფასოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის და შიდა აუდიტორების საქმიანობა.
- განიხილოს რისკის სტრატეგიები როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და მიაწოდოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, ბანკის მიმდინარე და მომავალ რისკის აპეტიტზე;
- მოამზადოს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინოს ანგარიშგება ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილოს ბანკის რისკის პოლიტიკები;
- გაუწიოს მონიტორინგი დირექტორატს, რამდენად სათანადო პროცედურების დაცვით ხდება დირექტორატის მხრიდან ბანკის საქმიანობის რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ითანამშრომლოს და მონიტორინგი გაუწიოს რისკების მართვის ხელმძღვანელის საქმიანობას;
- მისცეს რეკომენდაცია სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე;
- გაუწიოს მონიტორინგი კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე ყველა სახის რისკს, როგორებიცაა საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკები, იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა.

## აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (ALCO)

ALCO მართავს და მონიტორინგს უწევს ფინანსურ რისკებს, მათ შორის და არა მხოლოდ ლიკვიდობის რისკს, დაფინანსების რისკს, კონტრაგენტის საკრედიტო რისკს, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკებს. იგი ასევე აკვირდება სხვა შესაბამის რისკებს, როგორცაა დაკრედიტების, საკრედიტო და საოპერაციო რისკებს და იძლევა რეკომენდაციებს ხარვეზების აღმოფხვრის, დაფინანსების მობილიზაციისა და აქტივების განაწილების მიზნით.

ALCO აფასებს და რეკომენდაციას იძლევა კაპიტალის სტრუქტურის შესახებ, მართავს კაპიტალის ადექვატურობას, მისი რისკების მართვის კომპეტენციის ფარგლებში და ასევე უზრუნველყოფს ეროვნული ბანკისა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ALCO იკრიბება ყოველთვიურად. ALCO-ს წევრები არიან: CEO (თავმჯდომარე), CFO (მდივანი), რეგიონალური დირექტორი, რეგიონალური ოფისის წარმომადგენელი (ადგენს დღის წესრიგს და აგროვებს სადისტრიბუციო მასალას), კაპიტალის ბაზრების ჯგუფის წარმომადგენელი და ხაზინის უფროსი. ALCO შეხვედრებს შესაძლოა ასევე პერიოდულად დაესწრონ სხვადასხვა თემებზე მოწვეული სტუმრები, როგორც ეს დადგენილია კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.

კომიტეტი წარუდგენს ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს (ყოველი შეკრების გამართვის შემდეგ), რომელშიც შეაჯამებს რისკის საკითხებს და განიხილავს საკვანძო სფეროებში წარმოდგენილ რეკომენდაციებს და კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

## რისკებისა და შესაბამისობის კომიტეტი

სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს დირექტორატის დაქვემდებარებაში არსებულ რისკებისა და შესაბამისობის კომიტეტს, ბანკში არსებული რისკების მართვის სტანდარტების გაკონტროლებისა და დამტკიცების მიზნით. რისკების მართვის კომიტეტის მიერ ფასდება შემდეგი რისკები: საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის, საოპერაციო, შესაბამისობის და რეპუტაციული რისკები. რისკების კომიტეტი დახმარებას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს, რათა შეფასებულ იქნას ფინკა ბანკი საქართველოს რისკების მართვის სტრუქტურა, რისკების მართვის და რისკების შეფასების დირექტივები და პოლიტიკა, მისაღები რისკის დონე, კაპიტალისა და დაფინანსების პრაქტიკა.

რისკების კომიტეტის ძირითადი მიზნებია:

- მონიტორინგი გაუწიოს ბანკის რისკების მართვის ჩარჩოებს, ხელი შეუწყოს ყველა კატეგორიის რისკის ეფექტურ მართვასა და ბანკში რისკების ეფექტური მართვის კულტურის დანერგვას და შენარჩუნებას;

- ზედამხედველობა გაუწიოს, რომ აღმასრულებელმა მენეჯმენტმა მოახდინოს კომპანიის წინაშე არსებული ყველა რისკის იდენტიფიცირება და შეფასება და შექმნას სათანადო ინფრასტრუქტურა, რომლითაც შესაძლებელი იქნება აღნიშნული რისკების მართვა;
- რეკომენდაციები გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოს, ბანკის რისკების სტრატეგიის, მიზნების, რისკების შემცირების ღონისძიებების და მისაღები სხვა ზომების შესახებ რეკომენდაციების ჩათვლით, რომლებიც საჭიროა რისკების მართვის სისტემის დასახვეწად (ტრენინგების, სტრუქტურის, ახალი პროდუქტების მახასიათებლებისა და სხვა შესაბამისი საკითხების ჩათვლით);
- ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის შესაბამისობის ფუნქციას.

## **სხვა კომიტეტები**

### **საკრედიტო კომიტეტი**

ფინკა ბანკი საქართველოს საკრედიტო კომიტეტის უფლებამოსილებაა განიხილოს და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს შემოთავაზებული საკრედიტო განცხადებების დასამტკიცებლად. იგი ასევე განიხილავს სესხის რესტრუქტურირების საჭიროებას, უზრუნველყოფის საშუალებების სახეებს და სხვა მსგავს საკითხებს.

საკრედიტო კომიტეტში შეიძლება შედიოდნენ შემდეგი წევრები, CEO, CCO, რეგიონალური ოპერაციების მენეჯერი, სერვის ცენტრის მანეჯერი, საკრედიტო მენეჯერი, იურისტი და შიდა კონტროლის განყოფილების მენეჯერი. საკრედიტო კომიტეტი იკრიბება ყოველდღიურად, საჭიროებისამებრ და მისი ზუსტი შემადგენლობა დამოკიდებულია განსახილველი სესხის მოცულობაზე.

## HR კომიტეტი

HR კომიტეტი იკრიბება კვარტალურად, მისი შემადგენლობა შემდეგია: ევრაზიის რეგიონალური HR დირექტორი, ფინკა ბანკი საქართველოს HR დეპარტამენტის უფროსი, ფინკა ბანკი საქართველოს აღმასრულებელი მენეჯმენტი – CEO, CCO, CFO, GC.

HR კომიტეტის ფუნქციებია:

- მიმოიხილოს და დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭოსათვის სარეკომენდაციოდ გადასაცემი საორგანიზაციო სქემა (ყოველწლიურად ან ცვლილებების შემთხვევაში);
- მიმოიხილოს და დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭოსათვის სარეკომენდაციოდ გადასაცემი კომპანიის ყოველწლიური გეგმა და ბიუჯეტი, ადამიანური რესურსების ყველა საკითხთან დაკავშირებით (პერსონალის შერჩევა, ანაზღაურება, სწავლება და განვითარება, წახალისება და სხვა საკითხები);
- მიმოიხილოს და დაამტკიცოს საბჭოსათვის სარეკომენდაციოდ გადასაცემი სახელფასო, დამატებითი სარგებლის და წახალისების საკომპენსაციო სტრუქტურები მთელი შტატისთვის;
- გააკონტროლოს მმართველობის თანამიმდევრობის გეგმა და მისცეს რეკომენდაციები საბჭოს საკვანძო მენეჯერული დონის პერსონალსა და თანამიმდევრობის გეგმების შესახებ;
- მონიტორინგი გაუწიოს კადრების ბრუნვის კოეფიციენტს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინოს რეგულარული ანგარიშები ბრუნვის ტენდენციებზე და რეკომენდაცია მისცეს პერსონალის შენარჩუნებასთან დაკავშირებით;
- მიმოიხილოს ადამიანური რესურსების პოლიტიკა და პროცედურები, HR პოლიტიკის სახელმძღვანელოს, თანამშრომელთა სახელმძღვანელოების და სხვა დოკუმენტაციის ჩათვლით;
- განიხილოს და დაამტკიცოს ნებისმიერი სადისციპლინო ქმედებები, რომელიც მიმართული უნდა იყოს წამყვან თანამდებობაზე დასაქმებული პირების მიმართ;
- მიმოიხილოს ყოველწლიური კლიმატის კვლევის შედეგები და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს მენეჯმენტს და სამეთვალყურეო საბჭოს მოსაზრებები და რეკომენდაციები;
- ზედამხედველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს ნიჭიერი პერსონალის განვითარებას, რაც მოიცავს საქმიანობის მართვის პროცესებს და კარიერულ წინსვლას, წვრთნას,

სწავლებას, ტრენინგებს, ისევე როგორც მენეჯმენტის ძალისხმევას მხარი დაუჭიროს ფინკას ქსელის მიზნების გაფართოებაში.

### **დისციპლინარული კომიტეტი**

დისციპლინარული კომიტეტი მიმოიხილავს ფინკა ბანკი საქართველოს თანამშრომელთა სადისციპლინო შემთხვევებს, თუ სადისციპლინო კომიტეტის წევრებს მოუვათ შეტყობინება რომელიმე თანამშრომლის გადაცდომის შესახებ.

დისციპლინარული კომიტეტის წევრები არიან: აღმასრულებელი მენეჯმენტი – CEO, CCO, CFO, GC, HR დეპარტამენტის უფროსი და რისკების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

### **სხვა ფუნქციონალური მიმართულებები**

ფინკა ბანკი საქართველოს ჰყავს სხვადასხვა ფუნქციონალური მენეჯერები საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკრეტული ოპერაციებისა და პროცედურების კონტროლს, ფინანსების, ტექნიკური ოპერაციების, რისკების მართვის, შიდა აუდიტის, იურიდიული, მმართველობითი, ადამიანური რესურსების, მარკეტინგული კომუნიკაციების და საინფორმაციო სერვისების სფეროს ჩათვლით. ეს ფუნქციონალური მენეჯერები უზრუნველყოფენ, რომ კრიტიკული სამეთვალყურეო საბჭოსა და ბანკის აღმასრულებელი მენეჯმენტისათვის მიწოდებული ინფორმაცია იყოს საკმარისად სრულყოფილი, ზუსტი და დროული, რათა მოხდეს სათანადო გადაწყვეტილების მიღება და კონტროლის მექანიზმების წარმოდგენა სტრატეგიების, მიმართულებების და ინსტრუქციების უზრუნველსაყოფად, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ისე აღმასრულებელი მენეჯმენტისგან, რომლებიც სისტემატიურად და ეფექტურად ხორციელდება.

### 5.3. დირექტორატი

ფინკა ბანკი საქართველოს დირექტორატი შედგება აღმასრულებელი დირექტორის (“CEO”), ფინანსური დირექტორის (“CFO”) (ვაკანტურია), კომერციული დირექტორის (“CCO”) და მთავარი იურიდიული მრჩევლისგან (General Counsel). თითოეული წევრი დანიშნულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 4 წლიანი ვადით, თუმცა წევრების უფლებამოსილება გრძელდება ვადის ამოწურვის შემდეგაც, ვიდრე სამეთვალყურეო საბჭო არ დანიშნავს დირექტორატის ახალ წევრ(ებ)ს. დირექტორატი პასუხისმგებელია ბანკის საქმიანობის წარმართვაზე. დირექტორატის წევრები შესაძლებელია არჩეულ იქნან ერთი ან მეტი დამატებითი ვადით.

**ვუსალ ვერდიევი**, ფინკა ბანკი საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, მას აქვს მმართველ პოზიციაზე მუშაობის 15 წელზე მეტი გამოცდილება საბანკო საქმეში, მიკროფინანსებსა და პროექტების მართვაში. ვუსალ ვერდიევი შემოუერთდა ფინკა საქართველოს 2008 წლიდან და დაიკავა საოპერაციო დირექტორის თანამდებობა, ხოლო 2009 წლიდან დაინიშნა აღმასრულებელ დირექტორად. იგი სათავეში უდგას ფინკა ბანკი საქართველოს მმართველ გუნდს, უზრუნველყოფს სტრატეგიულ მმართველობას რისკების მართვაში, ადამიანური რესურსების მართვაში, პროდუქტის განვითარებაში, მარკეტინგში, პროექტების მართვაში, ოპერაციებში, ფინანსებსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებში. ბ-ნი ვერდიევი უძღვებოდა საბანკო ტრანსფორმაციის პროცესს, ძირითადი საბანკო პროგრამის დანერგვასა და სხვა ინიციატივებს. ფინკა საქართველოში მოსვლამდე, იგი მუშაობდა ფინკა აზერბაიჯანში, მოქალაქეთა განვითარების კორპორაციაში, ჰოლანდიის მენეჯმენტის თანამშრომლობის პროგრამასა და CHF-ში. იგი ფლობს MBA ხარისხს სასოფლო სამეურნეო ეკონომიკასა და მენეჯმენტში და პენსილვანიის უნივერსიტეტის საბანკო საქმის შტონიერ ეროვნული უმაღლესი სკოლის ABA ხარისხს.

**გიორგი ნადარეიშვილი**, ფინკა ბანკის კომერციული დირექტორი, რომელსაც საბანკო სფეროში ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება აქვს საქართველოში, უკრაინასა და სომხეთში. მისი საქმიანობა მოიცავდა MSME დაკრედიტებას, სერვის ცენტრების ქსელის განვითარებას, არასაკრედიტო ოპერაციული პროცესების მენეჯმენტსა და მართვას.

გიორგი ნადარეიშვილი ფინკა ბანკ საქართველოს 2018 წლის 15 იანვრიდან შემოუერთდა კომერციული დირექტორის პოზიციაზე. საქართველომდე გიორგი 2015 წლიდან იკავებდა ფინკა სომხეთის საოპერაციო დირექტორის პოზიციას.

სხვადასხვა დროს გიორგი ნადარეიშვილი მუშაობდა TBC კონსტანტაში როგორც საოპერაციო დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი და რისკების აღმასრულებელი დირექტორი. მისი მდიდარი გამოცდილება TBC ჯგუფში მოიცავს საქმიანობის ფართო არეალს – გაყიდვები, მარკეტინგი, საოპერაციო პროცესები. ასევე, გიორგი ნადარეიშვილი მუშაობდა პროკრედიტ

ბანკში საქართველოსა და უკრაინაში. ეკავა ცენტრალური ფილიალის მენეჯერის პოზიცია პროკრედიტბანკ უკრაინაში, 7 წლის განმავლობაში იყო პროკრედიტ საქართველოს რეგიონის ხელმძღვანელი.

გიორგი ნადარეიშვილი ფლობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის მაგისტრის დიპლომს. 2008 წელს მან დაამთავრა პენსილვანიის უნივერსიტეტის საბანკო საქმის სკოლა (ABA Stonier Graduate School of Banking at the University of Pennsylvania). 2014 წლიდან იგი არის ედინბურგის ბიზნეს სკოლის ჰერიოთ ვატ უნივერსიტეტის (Edinburgh Business School Herriot Watt University ) უმაღლესი ლიდერების პროგრამის ბიზნესის ადმინისტრირების კანდიდატი.

**დავით ზარანდია**, ფინკა ბანკის მთავარი იურიდიული მრჩეველი და კორპორაციული მდივანი, რომელსაც საფინანსო სფეროში იურიდიული მიმართულებით ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობის 8 წლიანი გამოცდილება აქვს.

დავით ზარანდია FINCA საქართველოს გუნდს 2006 წელს შემოუერთდა და 11 წლის განმავლობაში უზრუნველყოფდა ორგანიზაციაში კანონმდებლობასთან შესაბამისი პრაქტიკის დანერგვასა და წარმართვას. მონაწილეობდა ისეთ უმნიშვნელოვანეს პროექტებში როგორცაა 2007 წელს ფინკა საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციად, ხოლო 2013 წელს – კომერციულ ბანკად ტრანსფორმაციის პროცესები.

დავით ზარანდია წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამართლებრივი უზრუნველყოფის და ვადაგადაცილებული სესხების მართვის მიმართულებას და, როგორც ბანკის კორპორაციული მდივანი, მუშაობდა თანამედროვე კორპორაციული მართვის მოდელის დანერგვაზე.

2006 წლამდე დავითის საქმიანობა მოიცავდა კერძო საადვოკატო საკონსულტაციო საქმიანობას საფინანსო, ენერჯეტიკის და სამედიცინო სამართლის მიმართულებით.

დავით ზარანდია ფლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლისმცოდნეობის დიპლომს. იგი ასევე ფლობს კიოლნის უნივერსიტეტის (გერმანია) სამართლის მაგისტრის ხარისხს (LL.M.). 2006 წლიდან არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

## **ინტერესთა კონფლიქტი**

სამეთვალყურეო საბჭოს და მმართველი საბჭოს არც ერთი წევრი არ არის ჩართული ისეთ საქმიანობაში, რომელიც ეწინააღმდეგება, ან შეიძლება აღქმულ იქნას რომ ეწინააღმდეგება, ფინკა ბანკი საქართველოს ინტერესებს.



## 6. რისკების მართვა

### 6.1. ბანკის სტრატეგია

ბიზნეს სტრატეგიის ფარგლებში ფინკა ბანკი საქართველო საშუალოვადიან პერიოდში გეგმავს შეინარჩუნოს მდგრადი განვითარების ტენდენცია. აქციონერთა ქონების გაზრდისა და არსებულ ეკონომიკურ გარემოში წარმოქმნილი შესაძლებლობების გამოყენებისთვის ფინკა ბანკი საქართველომ განსაზღვრა ბიზნეს სტრატეგია მიმდინარე და მომდევნო 5 წლის პერიოდებისთვის შემდეგის გათვალისწინებით:

- იყოს საიმედო პარტნიორი და ინსტიტუტი მიკრო დაფინანსების ბიზნესში;
- მკვეთრი ზრდა ძირითად - აგრო სეგმენტზე;
- გარე და შიდა მომხმარებელთა გამორჩეული მომსახურება;
- ძირეული ზრდა რითეილ დეპოზიტებში;
- ინოვაციური და ციფრული გადაწყვეტილებების განვითარება ძირითადი სეგმენტის მომხმარებლების უკეთ მომსახურების მიზნით;
- ძირითად კლიენტებზე და სოციალურ პასუხისმგებლობაზე კონცენტრაციის შენარჩუნება ბიზნესის დივერსიფიცირების, ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდასთან ერთად;
- დანახარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაცია.

სტრატეგიის განხორციელებისას ბანკი ხელმძღვანელობს თავისი მისიით და ხედვით რაც გულისხმობს სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაფუძნებით პოზიტიური გავლენის მოხდენას ქვეყნის საზოგადოებაზე, მის კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებზე და ასევე თითოეულ მომხმარებელზე.

ფინკა ბანკი საქართველოს გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობა ადგილობრივ ბაზარზე, როგორც ნიშა ბანკი, მისი ღირებულების დადასტურებაა.

ბანკის ბიზნეს სტრატეგია განიხილება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ხდება სტრატეგიული მიმართულებების ზედამხედველობა.

## 6.2. რისკების მართვის სტრატეგია

ფინკა ბანკის რისკების სტრატეგია უზრუნველყოფს ბანკის მენეჯმენტის მხარდაჭერას ბანკის სტრატეგიული გეგმების მიღწევაში რისკების აპეტიტის განსაზღვრით და დასაშვები ლიმიტების კონტროლის მეშვეობით.

რისკის აპეტიტი არის რისკის დონე, რომელსაც ბანკი ირჩევს თავისი სტრატეგიული მიზნების განხორციელებისას. ის აგრეთვე ასახავს ბანკის უნარს გაუძლოს პოტენციურ დანაკარგებს ალბათობის სხვადასხვა დონით, კაპიტალის არსებული რესურსის გათვალისწინებით. ბანკის რისკის აპეტიტის დამტკიცება ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც უზამებს ზემოდან-ქვემოთ მიდგომას ბანკის შესაძლებლობას, აიღოს რისკი, ქვემოდან-ზემოთ რისკის პროფილის ხედვასთან თითოეული ბიზნეს ხაზის მიხედვით. რისკის პოზიციის კონტროლის მიზნით ბანკი განსაზღვრავს ლიმიტებს ყველა მატერიალური რისკისთვის (როგორცაა საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და სხვ). რისკის აპეტიტის დადგენა ითვალისწინებს ბანკის უნარს შეინარჩუნოს ბიზნესის ზრდა. დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოებს ყოველკვარტალურად ეგზავნებათ ანგარიში რისკების აპეტიტთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.

ფინკა ბანკის რისკების სტრატეგია მიზნად ისახავს შემდეგი ამოცანების განხორციელებას:

- მოახდინოს ბანკის მოგებისა და ფინანსური მდგრადობის დაცვა;
- მოახდინოს ციფრული პროდუქტებისა და ინფრასტრუქტურის სათანადო დაცვა;
- მოახდინოს ბანკის დაცვა რეპუტაციული რისკებისგან;
- მიიღოს მონაწილეობა ახალი პროდუქტების დამტკიცების პროცესში სადაც გათვალისწინებული იქნება რისკების აღებისა და მომგებიანობის პროპორციულობა.

ბანკის რისკების აპეტიტს ზედამხედველობას უწევს რისკების კომიტეტი და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. რისკების აპეტიტი ასახულია ბანკის შესაბამის პოლიტიკებში, პროცედურებში და ლიმიტებში. ბანკის ბიზნეს ერთეულები ფუნქციონირებენ აღნიშნული ლიმიტების ფარგლებში.

### 6.3. რისკების კულტურა

ბანკის რისკის მართვისა და ზადამხედველობის პროცესში ცენტრალური როლი უკავია რისკის კულტურას. ბანკის რისკის კულტურა განისაზღვრება და იმართება ბანკის უმაღლესი მენეჯმენტისგან. რისკის კულტურა ასახულია ბანკის რისკის სტრატეგიაში, იგი რისკისადმი აპეტიტისა და ყოველდღიური პროცესების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

რისკების მართვის დეპარტამენტი რეგულარულად ახორციელებს ბანკის ბიზნეს ერთეულების ტრეინინგებს. ბანკში შემუშავებულია რისკების ცნობიერების ამაღლების ეფექტური ტრეინინგები სხვადასხვა მიმართულებით როგორც არის საოპერაციო რისკები, საკრედიტო რისკები, ინფორმაციული უსაფრთხოება და შესაბამისობა.

#### ეთიკის კოდექსი

ფინკა ბანკის მორალური სტანდარტები - ბანკის ქცევის კოდექსი დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ. აღნიშნული კოდექსის მიხედვით ბანკში ყველა საქმიანობა უმაღლესი ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვით განხორციელება. ქცევის კოდექსის დაცვა სავალდებულოა FINCA-ს წარმომადგენლებისათვის - თითოეული თანამშრომლისათვის, საბჭოს წევრისათვის, კონსულტანტებისა თუ მოხალისეებისათვის და FINCA-ს სახელით მოქმედი სხვა პირებისათვის - მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად. საქმიანობის განხორციელება მოცემული ქცევის კოდექსის მოთხოვნების დარღვევით წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების / სხვა სახის საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს.

ჩვენი პოლიტიკა - მოცემული ქცევის კოდექსი შეიცავს იმ ეთიკურ სტანდარტებს, რომელთა დაცვის მოლოდინიც არსებობს FINCA-სთან ან მის შვილობილ კომპანიებთან რაიმე სახით დაკავშირებული ყველა პირის მიმართ. იგი არ მოიცავს ყველა კონკრეტულ სიტუაციას, თუმცა შეიცავს განაცხადს პოლიტიკისა და ეთიკის შესახებ. კონკრეტული მოთხოვნები დეტალურადაა გაწერილი თანამშრომელთა სახელმძღვანელოში, შინაგანაწესში და ფინკა ბანკი საქართველოს სხვა შიდა რეგულაციებში.

კანონთან შესაბამისობა - ფინკა ბანკი საქართველოს ყველა წარმომადგენელი ვალდებულია, ყოველთვის დაიცვას კანონი. არავის აქვს უფლება დაარღვიოს საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტი, ან ხელი შეუწყოს (უბიძგოს) ნებისმიერ თანამშრომელს ან სხვა პირს, დაარღვიოს საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტი FINCA-ს სახელით.

საზოგადოებრივი აზრი და კეთილსინდისიერი საქმიანობა. FINCA სამართლიანად ექცევა საკუთარ კლიენტებს, მომწოდებლებს, პარტნიორებს, თანამშრომლებსა თუ სხვა მხარეებს; ფინკა ბანკის საქმიანობა და მისი მიდგომა ზემოთ აღნიშნული პირებისადმი, საზოგადოებას უნდა უქმნიდეს ნდობას კომპანიის მიმართ.

## 6.4. რისკების მართვის სტრუქტურა

ფინკა ბანკი უზრუნველყოფს ქმედითი და ეფექტური რისკების მართვის სისტემის არსებობას. ამისთვის ბანკს დადგენილი აქვს რისკების მართვის ჩარჩო, რომლის უმთავრესი მიზანია ბანკი დაიცვას რისკებისგან და ხელი შეუწყოს ბანკს, მიაღწიოს დასახულ მიზნებს და ფინანსურ მდგრადობას, წინასწარ განსაზღვრული რისკების აპეტიტის ფარგლებში.

ბანკის დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკის მართვის ამოცანებისა და პოლიტიკის დადგენაზე. იმის გათვალისწინებებით, რომ აღნიშნული პასუხისმგებლობა ამ ორგანოშია შენარჩუნებული, ბანკის დირექტორთა საბჭო ადელეგირებს ამოცანებისა და პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო პროცესების შემუშავება-წარმართვის უფლებამოსილებას ორგანიზაციის სხვა ფუნქციებზე.

დირექტორთა საბჭოს მთავარი ამოცანაა ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომლის მიზანია რისკების მაქსიმალურად შემცირება ბანკის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის შეზღუდვის გარეშე. რისკის მართვის ჩარჩოს საშუალებით ბანკი მართავს ზემოთ აღნიშნულ რისკებს.

რისკის მართვის ჩარჩო აერთიანებს ინსტრუმენტებს, ზომებს, რესურსებსა და სისტემებს, რომელთა ერთობლივი მიზანი რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და მართვაა.

დირექტორთა საბჭოს რისკების კომიტეტი ზედამხედველობას და მონიტორინგს უწევს რისკის მართვის პროცესს, პრინციპებს, რისკის აპეტიტსა და რისკის მართვის პოლიტიკას.

ფინკა ბანკი საქართველოს სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბანკის მთლიანი რისკის მართვაზე. სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ბანკის სტრატეგიასა და პოლიტიკას, რაც რეკომენდირებულია დირექტორთა საბჭოს მიერ. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია განახორციელოს ის სტრატეგიული მიმართულებები, რაც დადგენილია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ პოლიტიკისა და პროცედურების სახით და შექმნას ეფექტური იერარქია ამ პოლიტიკების/პროცედურების განსახორციელებლად.

შესაბამისად, ბანკის მიერ რისკების მართვის ფუნქციების მონიტორინგი და შესრულება არის გადანაწილებული ოთხ ძირითად რისკის მართვის ორგანოში: დირექტორთა საბჭო, რისკების მართვის კომიტეტი, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ალკო) და რისკების მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი. რისკების მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტის უფროსი ექვემდებარება უშუალოდ აღმასრულებელ დირექტორს და ანგარიშვალდებულია რისკების კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. ის პასუხისმგებელია ყველა რისკის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის ზედამხედველობაზე ბანკში.

### დირექტორთა საბჭოსთან არსებული რისკების მართვის კომიტეტი

ფინკა ბანკის რისკების მართვის კომიტეტი წევრები არიან:

- ბანკის გენერალური დირექტორი;

- კომერციული დირექტორი;
- ფინანსური დირექტორი;
- იურიდიული დირექტორი;
- რისკების მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის უფროსი.

რისკების მართვის კომიტეტი ზედამხედველობას უწევს ბანკში არსებულ რისკების ჩარჩოს ეფექტურ ფუნქციონირებას. ასევე აღებული რისკებისა და პროცესების შესაბამისობას ბანკის რისკების აპეტიტთან და რისკ სტრატეგიასთან. რისკების კომიტეტი ახდენს არსებული რისკების შეფასებას და შესაბამისი მიტიგაციის გადაწყვეტილებების მიღებას.

ფინკა ბანკში რისკები იმართება სამ დონიანი რისკებისგან დაცვის მოდელის საშუალებით. რისკების მართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები იყოფა შემდეგი დონეების მიხედვით.

#### დაცვის I დონე


- ბიზნესი - რისკის ამღები ერთეული, რომელიც პირდაპირ პასუხისმგებელია რისკების იდენტიფიცირებაზე, მართვაზე, სათანადო კონტროლის მექანიზმების შემუშავებაზე და რისკებით გამოწვეულ დანაკარგებზე.

#### დაცვის II დონე

- რისკების მართვის ფუნქცია - ზედამხედველობას უწევს რისკების მართვის პროცესს კომპანიაში. აცალიბებს რისკების მართვის ჩარჩოს და ნერგავს რისკების ლიმიტებს. დამოუკიდებელ მონიტორინგს უწევს ბანკის რისკების პროფილს და ეხმარება ბიზნესს რისკების მინიმიზირების პროცედურების, ინსტრუმენტების და პოლიტიკების შემუშავებაში. ასევე რეკომენდაციას უწევს ბიზნესს ერთეულებს კონკრეტული რისკების შემცირების კუთხით. რისკების მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი პირდაპირ ანგარიშვალდებულია ბანკის გენერალურ დირექტორთან და სამეთვალყურეო საბჭოსთან.

#### დაცვის III დონე

- შიდა აუდიტი - შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შემოწმების დამოუკიდებელი ერთეული, რომელიც ანგარიშვალდებულია პირდაპირ აუდიტის კომიტეტთან და სამეთვალყურეო საბჭოსთან.



## რისკების ანგარიშგება

რისკების მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი კვარტალში ერთხელ წარუდგენს რისკების რეპორტს სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებულ რისკებისა და აუდიტის კომიტეტს, სადაც განიხილება მიმდინარე საკითხები და რისკების ტენდენციების ანალიზი.

ანგარიშში მოცემულია რისკების აპეტიტის ლიმიტების მაჩვენებლები და ძირითადი რისკების ინდიკატორების ტენდენციები ყველა რისკ კატეგორიის ჭრილში. რისკების მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტის უფროსი წარადგენს აღნიშნულ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტისა და რისკების მართვის კომიტეტზე და ასევე განიხილავს რისკების ჩარჩოსა და პროფილის პოტენციური განვითარების საკითხებს.

## 6.5. ძირითადი რისკები

### 6.5.1. საკრედიტო რისკი

ბანკი დგას საკრედიტო რისკის წინაშე, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

ბანკის ძირითად საქმიანობას მიკროსესხების გაცემა წარმოადგენს. ამით გამოწვეული მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანის თავიდან ასაცილებლად, საკრედიტო რისკების გამოვლენისა და ეფექტურად მართვის მიზნით, ბანკი სხვადასხვა მეთოდს იყენებს. ამისთვის ბანკში შექმნილია საკრედიტო რისკების მართვის ფუნქცია, რომელიც რისკებისა და შესაბამისობის დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის.

ფინკა ბანკის საკრედიტო რისკების მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია:

- პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პოლიტიკის გატარება და ხელშეწყობა.
- საკრედიტო რისკების კონტროლის მექანიზმების შემუშავება და გატარება.
- საკრედიტო რისკების პორტფელის ანალიზი და რისკების შემცირება.
- საკრედიტო რისკების აპეტიტის მონიტორინგი და შეფასება.

#### სარგებელი სასესხო პორტფელზე

2019: 24.31%

2018: 24.68%

#### სარგებელი სასესხო პორტფელზე


2019 წლის შემცირების მიზეზი იყო საფასო პოლიტიკის გადახედვა და საპროცენტო შემოსავლების, საკომისიო შემოსავლებით კომპენსირება.

#### სასესხო პორტფელი ვალუტების ჭრილში

##### სასესხო პორტფელი ვალუტების ჭრილში

ბანკმა 2019 წელს გაზარდა დაფინანსება ეროვნულ ვალუტაში, რომელიც სრულ თანხვედრაშია ქვეყანაში მიმდინარე „ლარიზაციის“ პროცესთან.





ბანკის საკრედიტო და სასესხო პოლიტიკა დგინდება საკრედიტო სახელმძღვანელოს მიხედვით, სადაც მკაფიოაა განსაზღვრული ყველა შესაბამისი პროცედურა და მოთხოვნა, ასევე მართვის მექანიზმები, მათ შორის, სესხის გაცემის, ვადაგადაცილებული სესხების მონიტორინგისა და სხვათა ჩათვლით.

ბანკი კონცენტრირდება დაბალშემოსავლიან, საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩართული (ვაჭრობის, წარმოების, სოფლის მეურნეობისა და სხვათა ჩათვლით) მეწარმეებისათვის მიკრო-კრედიტის მიწოდებაზე.

საკრედიტო კომიტეტი ანალიტიკური ორგანოა, რომელიც ანალიზებს სესხის განაცხადში მოცემულ ინფორმაციას. იგი დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს სესხის განაცხადის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე ან შეცვალოს სესხის პირობები, რესტრუქტურისაციის ჩათვლით.

ფინკა ბანკი საქართველოს საკრედიტო პორტფელის დაბალი რისკი დასტურდება ვადაგადაცილებების დაბალი დონით და იმ მომხმარებლების მცირე რაოდენობით, რომელსაც აქვთ გადახდის პრობლემები ან იდენტიფიცირებულია, რომ მომავალში ექნება პრობლემები.

ფინკა ბანკის მთლიანი შეწონილი რისკის პოზიცია არის 282,281,378 ლარი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

## სმდრ/საშუალო პორტფელი

2019: 4.73%

2018: 4.20%

### სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი/საშუალო პორტფელი

კოეფიციენტი დათვლილია საქართველოს ეროვნული ბანკის დარეზერვების პოლიტიკის შესაბამისად.

## საკრედიტო რისკის კონტროლი

საკრედიტო რისკი ძირითადად კონტროლდება ავტორიზაციის ლიმიტების დადგენისა და მათი დაცვის გზით და სესხის ძალიან დაბალი მაქსიმალური ლიმიტით. საკრედიტო კომიტეტის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის კომპიუტერიზებული. გადაწყვეტილებების მიღების ლიმიტები გადანაწილებულია შესაბამის პასუხისმგებელ ერთეულებზე და კონტროლდება მართვის ინფორმაციული სისტემის მიერ ავტომატურად წინასწარ განსაზღვრული დაშვების დონეების საფუძველზე. რეგულარული მონიტორინგი უზრუნველყოფს, რომ ლიმიტები არ დაირღვეს.

ყოველთვიურად ხორციელდება ასევე გაცემული სესხების მონიტორინგი ბანკის ფილიალების მხრიდან. ნებისმიერი გარე მოვლენა, რამაც შეიძლება არასასურველი მიმართულებით განავითაროს პორტფელი განიხილება რისკების კომიტეტზე და მიიღება გადაწყვეტილება კონკრეტულ სესხებთან მიმართებაში.

რისკების მონიტორინგი ასევე ხორციელდება პორტფელის დონეზე. საკრედიტო პორტფელი რეგულარულად ფასდება ტენდენციებისა და ძირითადი მაჩვენებლების განვითარების კუთხით. კერძოდ, სექტორის, პროდუქტების, რეგიონის, ფილიალისა თუ საკრედიტო რეიტინგების მიმართულებით. შედეგები ეცნობება რისკების მართვის კომიტეტსა და სამეთვალყურეო საბჭოს.

აგრო სესხების უკეთ შეფასებისთვის და რისკების მინიმიზირებისთვის გამოიყენება ტექ ბარათები რომლებიც განსაზღვრავს კონკრეტული სექტორში არსებული კლიენტებისთვის სესხის დასაშვებ ზღვრებს.

გარდა ამისა, პროცესების მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს თანამედროვე დაკრედიტების პრაქტიკა, რომელიც შემუშავებულია ფინკა ინთერნეიშენალის პროფესიონალების აქტიური ძალისხმევით 30 წლის განმავლობაში.

საოპერაციო რისკების განყოფილებაში შემავალი შიდა კონტროლის სპეციალისტები ახორციელებენ კრედიტების ანალიზის ხარისხის რეგულარულ კონტროლს.

დაკრედიტებასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა მიმართულია კლიენტთან გრძელვადიან კავშირებზე, რათა მიღწეული იქნას სტაბილური მომგებიანობა და თავიდან იქნეს აცილებული ისეთი ზრდა, რაც ხელს შეუშლის ბანკის გრძელვადიან სტაბილურობას.

**კონცენტრაციის რისკი** - რისკის პოზიციებთან დაკავშირებული ისეთი დანაკარგების წარმოშობის პოტენციალი, რაც საშიშროებას უქმნის ფინანსური ინსტიტუტის სიჯანსაღეს და მის უნარს აწარმოოს ძირითადი ოპერაციები.

კონცენტრაციის სხვადასხვა განზომილებების შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ჭრილში, მათ შორის, სექტორული და გეოგრაფიული განაწილება, კრედიტ რეიტინგი, მომხმარებლების სეგმენტები და რისკის პოზიციები ინდივიდუალური მსესხებელების ან დაკავშირებული ჯგუფების მიმართ.

ბანკი იყენებს HHI (ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსს) საკრედიტო რისკის კონცენტრაციის გასაანალიზებლად. ბანკს აქვს საკრედიტო რისკის არამატერიალური კონცენტრაციის დონე ცალკეული მსესხებელების ან დაკავშირებული პირების მიმართ სასესხო პორტფელის მაღალი გრანულარულობის გამო. რისკის ანალიზი აჩვენებს, რომ ბანკში საერთო კონცენტრაციის დონე დაბალია.

### **უზრუნველყოფის შეფასება**

ბანკში შემუშავებულია სესხის უზრუნველყოფის შეფასების და გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაციის პროცედურა, სადაც აღწერილია დეტალურად სესხის უზრუნველსაყოფად მისაღები ქონების ტიპები, უზრუნველყოფის შეფასების მეთოდი და წესები, უზრუნველყოფის რეგისტრაციის, ხელშეკრულების მომზადების, იპოთეკის/გირავნობის რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესები, აგრეთვე, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სხვა პირობები.

ბანკისათვის სესხის უზრუნველყოფა წარმოადგენს საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებას და განიხილება, როგორც სესხის დაფარვის ალტერნატიული წყარო მსესხებლის მხრიდან სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში.

მისაღებ სესხის უზრუნველყოფის საშუალებებს წარმოადგენს მესაკუთრის ან მესამე პირის კუთვნილი:

ა) უძრავი ქონება

ბ) მოძრავი ქონება - მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები.

უზრუნველყოფის კონკურენტუნარიანობის შემცირების შემთხვევაში ხდება იპოთეკა/გირავნის თავიდან შეფასება და შედეგების საკრედიტო ფაილში განთავსება.

უზრუნველყოფის კონკურენტუნარიანობის შემცირების შემთხვევაში ხდება იპოთეკა/გირავნის თავიდან შეფასება და შედეგების საკრედიტო ფაილში განთავსება.

სესხის სახე	სულ სესხები	სესხის უზრუნველყოფის სახე										
		საქართველოს მთავრობის გარანტია	დეპოზიტი	მესამე პირის გარანტია	ფასიანი ქაღალდები	ძვირფასი ლითონები	უძრავი ქონება	სატრანსპორტო საშუალება	საწარმოო მარაგები და მზა პროდუქცია	აღქურვილობა და მოწყობილობები	სხვა	საბლანკო
ბანკთაშორის სესხები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხები	7,624,453	0	0	0	0	0	3,320,908	94,055	0	0	0	4,209,490
ენერჯეტიკის სექტორზე გაცემული სესხები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხები	514,698	0	0	0	0	0	332,127	0	0	0	0	182,571
მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხები	291,329	0	0	0	0	0	131,023	0	0	0	0	160,306
სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხები	721,792	0	0	0	0	0	346,820	0	0	0	0	374,972
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხები	119,881	0	0	0	0	0	30,710	0	0	0	0	89,172
ფინანსური პირებზე გაცემული სესხები	196,977,753	0	1,123,989	0	0	0	30,977,351	4,366,945	0	0	0	160,509,467
დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხები	103,464	0	0	0	0	0	71,794	0	0	0	0	31,671
<b>მთლიანი სესხები</b>	<b>206,353,371</b>	<b>0</b>	<b>1,123,989</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>35,210,733</b>	<b>4,461,000</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>165,557,650</b>

უძრავი ქონება არ გამოიყენება საკრედიტო რისკის მიტიგაციისთვის სტანდარტული მიდგომის მიზნებისთვის.

## სტანდარტიზებული მიდგომა - საკრედიტო რისკის მიტიგაცია

	საბლანკო ელემენტები - რისკის პოზიციების ღირებულება	გარესაბლანკო ელემენტები		რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების საკრედიტო რისკის მიტიგაციამდე	რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების საკრედიტო რისკის მიტიგაციის ეფექტის გათვალისწინებით	რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების სიმკვრივე* $I = e / (a+c)$
		გარესაბლანკო ელემენტების ნომინალური ღირებულება	გარესაბლანკო ელემენტები კონვერსიის ფაქტორის გათვალისწინებით			
უპირობო და პირობითი მოთხოვნები ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მიმართ	51,062,812			21,521,575	21,521,575	42%
უპირობო და პირობითი მოთხოვნები რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ	0			0	0	0%
უპირობო და პირობითი მოთხოვნები საჯარო დაწესებულებების მიმართ	0			0	0	0%
უპირობო და პირობითი მოთხოვნები მრავალმხრივი განვითარების ბანკების მიმართ	0			0	0	0%
უპირობო და პირობითი მოთხოვნები საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ	0			0	0	0%
უპირობო და პირობითი მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ	1,761,656			880,828	880,828	50%
უპირობო და პირობითი მოთხოვნები კორპორატიული კლიენტების მიმართ	0			0	0	0%
უპირობო და პირობითი საცალო მოთხოვნები	202,265,676	4,313,410	2,154,283	178,103,309	178,103,309	87%
უპირობო და პირობითი მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფილია საკვანძო ქონების იპოთეკით	0			0	0	0%
კადასტრული სესხები	1,026,512			1,049,754	1,049,754	102%
მაღალი საუბრის დეფლო რისკის კატეგორიაში შემავალი ერთეულები	0			0	0	0%
მოკლევადიანი მოთხოვნები კორპორატიული კლიენტების მიმართ	0			0	0	0%
მოთხოვნები კოლექტორული ინვესტიციების სახით	0			0	0	0%
სხვა ერთეულები	23,641,767			14,281,410	14,281,410	60%
<b>სულ</b>	<b>279,758,423</b>	<b>4,313,410</b>	<b>2,154,283</b>	<b>215,836,875</b>	<b>215,836,875</b>	<b>77%</b>

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ბანკი იყენებდა შემდეგი საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტების (სშგი) რეიტინგებს: FITCH, Standard & Poor's და Mood's. რომლის საკრედიტო შეფასებები მოქმედებს რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებში - „უპირობო და პირობითი მოთხოვნები ბანკების მიმართ“ მუხლისთვის. ამ სამი გარე ინსტიტუტების რეიტინგებიდან აიღება ყველაზე მინიმუმი მაჩვენებელი.

## 6.5.2. საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო განაკვეთების ან ფასების დონის ცვლილება ან მერყეობა გააუარესებს ბანკის მოგებას, კაპიტალს ან ბიზნეს მიზნების მიღწევის უნარს. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს, საკრედიტო სპრედებს, სასაქონლო ფასებსა და კაპიტალის ფასებს, რომელთაც ბანკი იყენებს. ბანკის მიერ რისკების გამოთვლისა და მართვის მეთოდებში, ასევე იმ რისკებში, რომლებიც მასზე ვრცელდება, ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

ძირითადი საბაზრო რისკები, რომლებიც ამჟამად ბანკზე მოქმედებს, არის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკები.

### საპროცენტო რისკი

პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასების გზით ბანკი მართავს რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკებს, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას ბაზრის კონიუქტურის ნეგატიური ცვლილებების შედეგად. ბანკის ხელმძღვანელობა ახორციელებს ბანკის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს, აფასებს ბანკის მგრძობიარობას რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ და მის გავლენას ბანკის მომგებიანობაზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი იზომება შემოსავლებისა და ეკონომიკური ღირებულების მიდგომებით. ორივე მოდელში ძირითადი ამოსავალი წერტილია საპროცენტო განაკვეთის შოკები. პირველი მიდგომა ითვლის საპროცენტო განაკვეთების შოკის გავლენას ბანკის შემოსავლიანობაზე მომდევნო 12 თვის განმავლობაში საპროცენტო ხასიათის აქტივების/ვალდებულებების ვადიანობისა და გადაფასების სტრუქტურიდან გამომდინარე.

მეორე მიდგომა, რომელიც გამოიყენება საპროცენტო რისკების შესაფასებლად არის ეკონომიკური ღირებულების ცვლილება, რომელიც ასახავს საპროცენტო შოკის გავლენას კომპანიის ღირებულებაზე. ამ მიზნით გამოიყენება დურაციის მეთოდი.

ორივე მეთოდის მეშვეობით არა მხოლოდ რისკების კალიბრაციაა შესაძლებელი, არამედ დამატებითი კაპიტალის ოდენობის დადგენაც მეორადი კაპიტალის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

### იდენტიფიკაცია და გაზომვა

ფინკა ბანკი საქართველო მონიტორინგს უწევს და მართავს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ რისკის პოზიციას, ისე, რომ შენარჩუნებული იქნეს, სულ ცოტა, სავალდებულო მინიმალური კაპიტალი.

მეთოდები, რომლითაც ხდება პროცენტების ცვლილების ეფექტის შეფასება არის შემოსავლიანობისა და ეკონომიკური ღირებულების ცვლილების ანალიზი, კონტროლი და მიტიგაცია.

ბანკი მიტიგაციას უწევს საპროცენტო რისკს ალკო-ს მიერ დადგენილი პოლიტიკის ფარგლებში. საპროცენტო რისკის მიტიგაციისათვის, აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის ცვლილება უნდა იქნეს მოწონებული ბანკის ალკო-ს და აგრეთვე, რეგიონალური დირექტორის, ფინკა ინთერნეიშენალის ფინანსური დირექტორისა და ფინკა ინთერნეიშენალის ხაზინის უფროსის მიერ.

### **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევა გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ბანკი ცდილობს, შეინარჩუნოს დახურულთან ახლოს ღია სავალუტო პოზიცია, რომელიც ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება.

საბაზრო რისკების შესაფასებლად, თითოეული სპეციფიური რისკისათვის ბანკს შექმნილი აქვს სპეციალური მოდელები. სავალუტო რისკის შესაფასებლად ბანკი იყენებს ბოლო რამდენიმე წლის (მთელი ეკონომიკური ციკლი) ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველდღიური ცვლილებების 99%-იანი სარისკო განაკვეთის მოდელს. შედეგები შემდეგ გადადის 30 დღიან პერიოდზე.

### **იდენტიფიკაცია და გაზომვა**

ბანკის საბაზრო რისკის მართვისას გაითვალისწინება გაცვლითი კურსის რისკი.

ფინკა ბანკი საქართველო ზომავს სავალუტო რისკს, როგორც კრებსით (საბალანსო და გარესაბალანსო) ღია სავალუტო პოზიციას „კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესის თანახმად“.

### **კონტროლი და მიტიგაცია**

ხაზინის დეპარტამენტის პასუხისმგებლობაა, რომ შეინარჩუნოს სავალუტო პოზიცია დახურულთან ახლოს ყოველთვის და მართოს ღია პოზიცია ეფექტიანად მინიმალური ხარჯით. ამასთან ერთად, მანამ სანამ ხაზინა განახორციელებს ოპერაციებს, მხედველობაში მიიღება ძირითადი ცვლილებები უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურაში.

სავალუტო პოზიციის ლიმიტები, რომლებიც დადგენილია სებ-ის, ალკო-ს და ბანკის კრედიტორების მიერ (რომელიც უფრო მკაცრია) უნდა იქნეს დაცული ყოველთვის.

### 6.5.3. ლიკვიდობის რისკი

#### ლიკვიდობის მართვა

ლიკვიდობის რისკში იგულისხმება ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებისათვის საკმარისი სახსრების არსებობა. ბანკში მთავარი ორგანო, რომელიც ლიკვიდობას მართავს ყოველთვიურად, არის აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი (ალკო).

ალკო-ს შეხვედრები ტარდება მინიმუმ თვეში ერთხელ და შედგება შემდეგი წევრებისაგან: აღმასრულებელი დირექტორი, ფინანსური დირექტორი, რეგიონალური დირექტორი, სათავო ოფისის კაპიტალის ბაზრების ჯგუფის წარმომადგენელი და ხაზინის უფროსი. ალკოს სხდომებზე მუდმივად ხდება ფინანსური დირექტორის მოადგილის, ბანკის ხაზინის დეპარტამენტის უფროსის, რეპორტირების, ფინანსური ანალიზისა და ბიუჯეტირების დეპარტამენტის უფროსისა და რისკების და შესაბამისობის დეპარტამენტის უფროსის მოწვევა.

კომიტეტის ანგარიშები მოიცავს ფინანსური პოზიციის, მოგება-ზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის დეტალურ პროგნოზს მომდევნო 18 თვის განმავლობაში, რის შედეგადაც ზუსტად განისაზღვრება სამომავლო დაფინანსების საჭიროებები. მიმდინარე მოვლენების საფუძველზე კომიტეტში გამოყენებული პროგნოზების განახლება სულ მცირე ყოველთვიურად ხდება.

სხვა საკითხებს შორის, ლიკვიდობის მართვის მიზნებისათვის, შეხვედრების დროს კომიტეტი განიხილავს ლიკვიდობის სქემას, პროგნოზს და დაფინანსების განრიგს. კომიტეტში ლიკვიდობასთან დაკავშირებული განხილვების შედეგად ხდება სამომავლო დაფინანსების დონის განსაზღვრა (დრო, თანხა, ვალუტა), ლიკვიდობის სავარაუდო წყაროების გამოვლენა (თანხების პირდაპირ მოზიდვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, ფულის ბაზრის ინსტრუმენტების, ბანკთაშორისი დეპოზიტების, ვალუტის სვოპები, ა.შ. გამოყენება) და სამოქმედო გეგმის შემუშავება. გარდა ამისა, ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, კომიტეტი აწესებს შიდა ლიმიტებს არასასესხო ლიკვიდობაზე (შეუზღუდავი ფული და ფულის ექვივალენტები).

ბანკის მიმდინარე ლიკვიდობის მართვა ხორციელდება ბანკის ხაზინის მიერ, რომელიც ახორციელებს ტრანზაქციებს მიმდინარე ლიკვიდობის მოსაზიდად და ფულის ნაკადების ოპტიმიზაციისთვის.

შეხვედრების დროს, ასევე განიხილება შემდეგი საკითხები:

- ლიკვიდობის განრიგი და პროგნოზი
  - ბანკის ფულის ნაკადები და ლიკვიდობის გადაფარვის ანგარიში;
  - კონსოლიდირებული ფულის ნაკადები და ლიკვიდობის გადაფარვა;
  - დანაზოგები/დეპოზიტების ზრდა და კონცენტრაცია.
- დაფინანსების განრიგი: მოსალოდნელი გარიგებები
  - კაპიტალის ბაზრის მდგომარეობა;
  - ბანკის ლიკვიდობის ანგარიში;
  - კონსოლიდირებული საკრედიტო პოზიციები და დაფინანსება;
  - ინვესტორებთან ურთიერთობები.

ალკო-ს მიერ ლიკვიდობის განხილვა შემდეგ შედეგს იძლევა:

- მომავალი დაფინანსების საჭიროების იდენტიფიკაცია (დრო, რაოდენობა, ვალუტა);
- ლიკვიდობის წყაროების შესაძლო იდენტიფიკაცია (საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან სახსრების პირდაპირი მოზიდვა, ფულის ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენება-ბანკთაშორისი დეპოზიტები, სავალუტო სვოპები და სხვ.);
- ლიკვიდობის სამოქმედო გეგმა (კომუნიკაციის გეგმაზე შეთანხმება).

### **დაფინანსება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან**

სახსრების საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდვის დროს, ბანკის ფინანსური დირექტორი აწარმოებს მოლაპარაკებებს თითოეულ კრედიტორთან დაფინანსების პირობებზე (ბანკის ხაზინის და რეპორტირების, ფინანსური ანალიზისა და ბიუჯეტირების დეპარტამენტები ჩართულია როგორც მხარდამჭერები). მას შემდეგ, რაც პირობები (მოცულობა, ვალუტა, ვადიანობა, პროცენტი და სხვ.) შეთანხმდება ბანკის დონეზე, ალკო-სა და შემდგომ სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე. ფორმდება სასესხო ხელშეკრულება კრედიტორებთან.

### **ხაზინის როლი**

ლიკვიდობის მართვა არის ბანკის ხაზინის დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია. ალკო-ს ანგარიშების გარდა, ხაზინა იყენებს ცალკე ლიკვიდობის პროგნოზს (ფულის ნაკადების შემოდინება/გადინების პროგნოზს), რომლის განახლება ხდება სულ მცირე კვირაში ერთხელ.

მოკლე ვადიანი ლიკვიდობის მართვისთვის გამოიყენება ბანკთაშორისი ფულის ბაზრის გარიგებები ან სებ-ის რეფინანსირების ინსტრუმენტები.

გრძელვადიანი ლიკვიდობა იმართება ალკოს გადაწყვეტილებით.




## საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი

2019: 37.47%

2018: 57.75%

### საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი

2018 წელს გაზრდილი ლიკვიდობა განაპირობა მომდევნო პერიოდში დასაფარი ვალდებულებებისათვის აკუმულირებულმა თანხებმა.



### მომავალზე ორიენტირებული დაგეგმვა

ფინანსური მაჩვენებლების დაგეგმვის პროცესი მოიცავს აგრეთვე ლიკვიდობის დაგეგმვას. ეს ნიშნავს იმას, რომ 5 წლიანი ბიუჯეტი არის ისე აგებული, რომ ბანკი ყოველთვის გეგმავს დააკმაყოფილოს სახედამხედველო ლიკვიდობის მოთხოვნები, როგორც შიდა მოთხოვნა. ბანკი ასევე მონიტორინგს უწევს შიდა ლიკვიდობის კოვენანტებს და უზრუნველყოფს აღნიშნული კოვენანტებთან შესაბამისობას. ბანკი მართავს არსებულ სახსრებს მიმდინარე ბიზნეს ოპერაციების დასაფინანსებლად, რათა შეინარჩუნოს ფულისა და მისი ექვივალენტის საკმარისი დონე.

#### 6.5.4. საოპერაციო რისკი


საოპერაციო რისკი წარმოადგენს ისეთი ზარალის რისკს, რომელიც წარმოიშობა სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის და გარე მოვლენების შედეგად. თუ კონტროლი არ მუშაობს, საოპერაციო რისკმა შეიძლება ავნოს კომპანიის რეპუტაციას, გამოიწვიოს სამართლებრივი სირთულეები და ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ მოახდენს ყველა საოპერაციო რისკის თავიდან აცილებას, მაგრამ იგი ცდილობს, მართოს აღნიშნული რისკები, დაამყაროს კონტროლი გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით.

ბანკში საოპერაციო რისკების მართვის პასუხისმგებლობა აკისრიათ ბიზნეს ერთეულებს, რადგანაც საოპერაციო რისკი მათი ყოველდღიური საქმიანობის დიდ ნაწილს წარმოადგენს და ასახულია ბანკის სტრატეგიულ თუ ფუნქციონალურ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. საოპერაციო რისკების მართვის განყოფილება ეხმარება ბიზნეს ერთეულებს აღნიშნული რისკების იდენტიფიცირებასა და მართვაში, შესაბამისი ინსტრუმენტებისა და გამოცდილების გაზიარებით.

რისკების კომიტეტი რეგულარულად განიხილავს საოპერაციო რისკების მდგომარეობასა და ძირითადი რისკების ინდიკატორების განვითარების ტენდენციებს. კომიტეტი ასევე ზედამხედველობას უწევს საოპერაციო რისკების მართვის პროცესს ბანკის მასშტაბით და განიხილავს საოპერაციო რისკების პოლიტიკას სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენად.

2019 წლის განმავლობაში ფინკა ბანკში დაფიქსირებული საოპერაციო რისკით გამოწვეული დანაკარგები არ არის მატერიალური და შეესაბამება ბანკის დადგენილ რისკ აპეტიტის ლიმიტს.

### ინფორმაცია საოპერაციო რისკებით გამოწვეული დანაკარგების მოცულობის შესახებ (ლარი)



ინფორმაცია საოპერაციო რისკებით გამოწვეული დანაკარგების მოცულობის შესახებ		
	2019	2018
დასაკარგების მთლიანი მოცულობა	135,058	65,609
მიღებული (რეალიზებული) დანაკარგის მოცულობა (ანაზღაურების გათვალისწინებით)	11,856	10,644

ინფორმაცია საოპერაციო დანაკარგების მოცულობის შესახებ				
		2019	2018	2017
1	დანაკარგების მთლიანი მოცულობა	135,058	65,609	96,746
2	დანაკარგების მთლიანი მოცულობა, რომელიც აღემატება 10,000 ლარს	100,000	0	61,053
3	მოვლენების რაოდენობა, რომელთა დანაკარგიც აღემატება 10,000 ლარს	1	0	2
4	5 უმსხვილესი დანაკარგის საერთო მოცულობა	110,679	21,265	73,862

**ინფორმაცია საოპერაციო რისკების ძირითადი (საბაზისო) ინდიკატორის მეთოდის მიზნებისათვის გამოყენებულ შემოსავლებზე**

	2019	2018	2017	წმინდა საპროცენტო და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამის საშუალო მაჩვენებელი ბოლო სამი წლის მანძილზე	საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
1 წმინდა საპროცენტო შემოსავლები	31,206,325	35,798,922	34,772,826		
2 მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები	2,611,981	1,335,985	-673,823		
3 მინუს: უონების გაყიდვიდან მიღებული მოგება (ზარალი)	61,911	27,261	31,954		
4 მთლიანი შემოსავალი (1+2-3)	33,756,396	37,107,646	34,067,049	34,977,030	65,581,932

**იდენტიფიკაცია და გაზომვა**

ბანკში არსებული პროცესების რისკების და პროდუქტების შესაფასებლად და კონტროლის ადეკვატური დონის განსასაზღვრად გამოიყენება RCSA (Risk and control self assesement). ამ პროცესში სხვადასხვა ბიზნეს ერთეულები, საორგანიზაციო ფუნქციები და პროცესების მიმდინარეობა რისკის ტიპების მიხედვით არის ასახული. აღნიშნული საშუალებას იძლევა გამოვლინდეს სუსტი მხარეები და მოხდეს მენეჯმენტის შემდგომი ქმედებების პრიორიტეტიზაცია.

საოპერაციო რისკების ადრეულ ეტაპზე გამოსავლენად ბანკში გამოიყენება ძირითადი რისკების ინდიკატორები. რისკების ინდიკატორების მეშვეობით ბანკი მონიტორინგს უწევს საოპერაციო რისკების გამომწვევ ფაქტორებს. რისკების ინდიკატორების ანგარიში ყოველკვარტალურად წარედგინება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს.

საოპერაციო რისკებით გამოწვეული დანაკარგების ბაზა გამოიყენება რისკების გამომწვევი ფაქტორების ანალიზისთვის და პრევენციული ღონისძიებების დასაგეგმად, რათა თავიდან იყოს აცილებული მომავალში მსგავსი შემთხვევების გამეორება.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ პასუხისმგებლობა შესაბამისად გადანაწილებულია მართვაზე, ანგარიშგებასა და საოპერაციო რისკების ესკალაციაზე, ბანკში მოქმედებს „დაცვის სამი დონის“ მოდელი.

საოპერაციო რისკის გასაზომად გამოიყენება საბაზისო ინდიკატორების მიდგომა.

## კონტროლი და მიტიგაცია

საოპერაციო რისკების მინიმიზაცია მიიღწევა შემდეგი სტრატეგიით:

- ინციდენტის გამომწვევი ფაქტორების ანალიზი - დიდი დანაკარგების განმეორების თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება პროცედურა, რომელიც გულისხმობს სისტემის ნაკლოვანებების ანალიზსა და მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელებას;
- დაზღვევა - სადაზღვევო პოლიტიკა გამოიყენება „დაბალი სიხშირის, მაგრამ ძალიან დიდი შედეგის“ ხასიათის რისკების მესამე პირებზე გადატანის უზრუნველსაყოფად, მათ შორის ბანკის რისკების დაზღვევა (BBB), დირექტორებისა და თანამშრომლების ვალდებულებების დაზღვევა (D&O), ქონების დაზღვევა;
- ადეკვატური პროცედურები - ბანკს აქვს პოლიტიკა, პროცესები და პროცედურები, რომ აკონტროლოს და შეამსუბუქოს მატერიალური საოპერაციო რისკები;
- ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობების სათანადო გამიჯვნა - საკადრო პოლიტიკა და შიდა პროცედურები უზრუნველყოფენ ინტერესთა კონფლიქტების შეფასებას, თავიდან აცილებას ან/და მისაღებ დონემდე მათ შემცირებას;
- ბიზნესის უწყვეტობის გეგმა - ბიზნესის უწყვეტობის გეგმა გამოიყენება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბანკის უნარი გააგრძელოს ჩვეულებრივ თავისი საქმიანობა და შეამციროს დანაკარგები ბიზნესის მნიშვნელოვანი შეკვეცის პირობებში;
- საოპერაციო რისკის ლიმიტები - შეზღუდვები ვრცელდება მაღალი რისკის გარიგებებზე, რომ შემცირდეს რისკის პოზიცია კონკრეტული პროდუქტი/მომსახურების მიხედვით (მაგ. ნაღდი ფულის ლიმიტი, ხაზინის ლიმიტი და საოპერაციო ლიმიტი)

## 6.6. სტრეს ტესტები

ფინკა ბანკში სტრეს ტესტები გამოიყენება ეკონომიკური დაღმავლობის ეფექტის შესაფასებლად ბანკის მდგრადობასთან მიმართებაში.

ფინკა ბანკში სტრეს ტესტები ტარდება ბანკის დონეზე, სადაც გამოიყენება სხვადასხვა მაკროეკონომიკური სცენარები.

ბანკი საკრედიტო რისკების სტრეს ტესტს ატარებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. საკრედიტო რისკის სტრესის პარამეტრები ჩაშლილია სექტორების მიხედვით, გათვალისწინებულია ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება, თანამშრომლის სახელფასო სესხებზე დასაქმებულთა შემცირება, ბანკის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ღირებულების შემცირება. სტრეს ტესტი მოიცავს თითოეული პარამეტრის ზეგავლენის ყველა ასპექტს. ვინაიდან ბანკის პორტფელი ძალიან გრანულოვანია და ნებისმიერი მსესხებლის ან ჯგუფის რისკის პოზიცია ნაკლებია ზედამხედველო კაპიტალის 1%-ზე, სტრესის ტესტირებისთვის გამოიყენება შერჩევის მეთოდი საქართველოს ეროვნული ბანკის მეთოდოლოგიის მიხედვით.

თუ სტრესის შედეგად უარესდება სესხის კატეგორია, ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია მისი რესტრუქტურისაციის (დაგრძელვადიანების) შესაძლებლობა ბანკის სტანდარტული რესტრუქტურისაციის პოლიტიკის შესაბამისად. ამ შემთხვევაში კორექტირდება რესტრუქტურისებული სესხის კატეგორია სტრეს ტესტის მიხედვით მიღებული დაფარვადობის მიხედვით.

დარჩენილ საცალო სესხებზე (სახელფასო და სამომხმარებლო), ხდება გამარტივებული მიდგომის გამოყენება და გაითვალისწინება დეფოლტის მაჩვენებელი, აგრეთვე ხორციელდება ბანკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დასტრესვაც.

ღია სავალუტო პოზიციაზე ხორციელდება ლარის გაუფასურების ეფექტის დაანგარიშება.

ასევე ხორციელდება საპროცენტო რისკის სტრეს ტესტების ჩატარება ლარისა და დოლარის ზრდის გათვალისწინებით და მათი გავლენა ბანკის მომგებიანობაზე ერთი წლის კორიზონტში (earning approach).

სტრეს ტესტების შედეგები წარედგინება რისკების კომიტეტსა და სამეთვალყურეო საბჭოს.

## 7. ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია

### 7.1. ანაზღაურების პოლიტიკა

ფინკა ბანკი საქართველო მიყვება FINCA-ს ქსელის კორპორაციული მართვის სტანდარტებსა და პროცედურებს, ისევე როგორც ადამიანური რესურსების (HR) სტანდარტების პრაქტიკასა და პროცედურებს.

ქსელის საყოველთაო ანაზღაურების სტრატეგია არის სრული ანაზღაურების შეთავაზება, რომელიც იზიდავს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტალანტს და არის კონკურენტუნარიანი ბაზრისთვის.

ფინკა ბანკმა შეიმუშავა სახელფასო სტრუქტურა, რომელიც მოიცავს სახელფასო საფეხურებს ყველა პოზიციისთვის. სახელფასო სტრუქტურა შემუშავებულია ძირითადი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, ასევე ადგილობრივი სახელფასო კვლევის მონაცემების (არსებობის შემთხვევაში) და თითოეული პოზიციისთვის შესაბამისი ღირებულების გათვალისწინებით. სახელფასო სტრუქტურა განიხილება სულ მცირე წელიწადში ერთხელ.

სამეთვალყურეო საბჭო (SB) პასუხისმგებელია შვილობილი კომპანიის სახელფასო სტრუქტურის დამტკიცებაზე.

ბანკის თანამშრომლებისთვის (გარდა MB - დირექტორთა საბჭო) წლიური სახელფასო ბიუჯეტის ზრდის შეთავაზება ხდება ისეთ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორცაა: კომპანიის საქმიანობა, ბაზრის კვლევა, დარგი და ადგილობრივი პრაქტიკა. საბოლოო ბიუჯეტი მტკიცდება ბანკის დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

HR მენეჯერი წარმოადგენს ხელფასის ზრდის / კორექტირების რეკომენდაციებს ბანკის მიერ დადგენილი ხელფასის ზრდის პროცესზე დაყრდნობით.

ფინკა ბანკი სრულად აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამართლებრივ მოთხოვნებს ხელფასის ადმინისტრირებასთან, დაბეგვრასა და იმიგრირებასთან მიმართებაში.

სახელფასო პროცედურები ოფიციალურად არის დოკუმენტირებული და აკმაყოფილებს ადგილობრივ რეგულაციებსა და პროცედურებს.

თანამშრომელთა ხელფასების გადახედვა შესაძლოა განხორციელდეს წელიწადში ერთხელ, დამტკიცებული სახელფასო ბიუჯეტის ფარგლებში და წლის ნებისმიერ თვეში, დირექტორატის დამტკიცების საფუძველზე. გამონაკლისი შემთხვევები მტკიცდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

წლიური სახელფასო მიმოხილვის დროს, სხვა ფაქტორებთან ერთად, როგორცაა ბაზრის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება, თანამშრომელთა დაჯილდოვება, სასურველი ქცევებისა და შედეგების გაძლიერება, ანაზღაურებისა და სარგებლის პრაქტიკები, მხედველობაში მიიღება ასევე ფინკა საქართველოს ბიუჯეტის საჭიროებები.

- HR მენეჯერი ამზადებს სახელფასო კვლევის ანგარიშს ყველა პოზიციისთვის, სრული ანაზღაურებისა და სარგებლის საბაზრო ანალიზს, რათა შეაფასოს საბაზრო კონკურენტუნარიანობა და ანგარიშს წარუდგენს დირექტორთა საბჭოს წინასწარ შეთანხმებულ ვადებში;
- დეპარტამენტის/ფილიალების ქსელის განვითარების დეპარტამენტის უფროსები ავსებენ ხელფასის განხილვის მოთხოვნის ფორმას და წარუდგენენ HR მენეჯერს წინასწარ შეთანხმებულ ვადებში. თუ ხელფასების გადახედვა ეხება 5 და მეტ თანამშრომელს, მაშინ HR დეპარტამენტში ხდება წინასწარ მომზადებული ექსელის ფორმატის დოკუმენტის წარდგენა, შემდგომი ცვლილებების დამტკიცებისთვის;
- HR მენეჯერი ავსებს თავის ნაწილს, ადგენს მონაცემებს და განსახილველად წარადგენს HR კომიტეტზე (HR კომიტეტის შემადგენლობა - დირექტორთა საბჭო და HR მენეჯერი);
- ხელფასის განხილვის მოთხოვნა შეიძლება ინიცირებული იყოს არა მხოლოდ სტრუქტურული ხელმძღვანელების მიერ, არამედ HR მენეჯერის და მმართველი საბჭოს მიერ შიდა და საბაზრო ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით;
- HR კომიტეტი განიხილავს ხელფასის ცვლილების წინადადებებს;
- აღმასრულებელი დირექტორი (CEO) აკეთებს თანამშრომელთა სახელფასო ცვლილებების რეპორტირებს და განიხილება აღმასრულებელი დირექტორისა და HR მენეჯერის მიერ;

FINCA-ს ქსელის შვილობილ კომპანიებს სჯერათ გრძელვადიანი, კლიენტზე ორიენტირებული ურთიერთობების. თანამშრომლის მოკლევადიანი წამახალისებელი პროგრამები ზოგადად არ მიიჩნევა ქსელის ღირებულებებთან შესაბამისობაში. მნიშვნელოვანია ის, რომ მენეჯერები იყენებენ გლობალურ მიდგომას მიზნების მისაღწევად მმართველობაში, რაც იწყება პოზიტიური სამუშაო გარემოს ხელშეწყობით, მნიშვნელოვანი მიზნების დასახვით, ტრენინგით, სწავლებით, მიმდინარე ქოუჩინგითა და უკუკავშირით. თუ შვილობილ კომპანიას სურს განახორციელოს წამახალისებელი პროგრამა, პროგრამამ სათანადოდ უნდა დააბალანსოს თანამშრომელთა მოტივირების მიზნები საქმიანობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ორგანიზაციის ბრენდული ატრიბუტებისა და უმთავრესი ღირებულებების რეგულირების მხარდაჭერისას.

ყველა წამახალისებელი პროგრამა და ცვლილება არსებულ გეგმებში წინასწარ მტკიცდება გლობალური HR-ის მიერ, საბჭოსთან წარდგენამდე. შვილობილი კომპანიის მმართველთა საბჭოს წამახალისებელი პროგრამები და ცვლილებები მტკიცდება აღმასრულებელი მენეჯმენტის კომიტეტის მიერ.

წამახალისებელი პროგრამების ცვლილებები დოკუმენტირებულია და ეცნობებათ თანამშრომლებს.

ამჟამად ფინკა ბანკი იყენებს მხოლოდ ფიქსირებულ სახელფასო სისტემას ბანკის ყველა პოზიციის თანამშრომლისთვის.



## რისკების მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტის ანაზღაურება

რისკების მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტის ანაზღაურება იმართება ფინკა ბანკი საქართველოს ზოგადი ანაზღაურების პოლიტიკის მეშვეობით. ბაზრის სახელფასო მიმოხილვებზე დაყრდნობით, ბანკი უზრუნველყოფს რისკების დეპარტამენტის თანამშრომლების სრულ ანაზღაურებას თანამშრომელთა საქმის ცოდნისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფუნქციის ობიექტური შესრულება.

## 7.2. ანაზღაურების ცხრილები:

2019 წლის განმავლობაში მიღებული ანაზღაურება წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

ფინანსური წლის განმავლობაში მინიჭებული ანაზღაურება					
			დირექტორატი	სამეთვალყურეო საბჭო	სხვა მატერიალური რისკის ამღები პირები
1	ფიქსირებული ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა	3	4	2
2		მთლიანი ფიქსირებული ანაზღაურება	1,194,514	105,669	135,625
3		მათ შორის: ფულადი ფორმის	1,194,514	105,669	135,625
4		მათ შორის: გადავადებული			
5		მათ შორის: აქციები და აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტები			
6		მათ შორის: გადავადებული			
7		მათ შორის: სხვა ფორმის			
8		მათ შორის: გადავადებული			
9	ცვალეზადი ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა	3	4	2
10		მთლიანი ცვალეზადი ანაზღაურება	24,780	55,428	1,250
11		მათ შორის: ფულადი ფორმის	24,780	55,428	1,250
12		მათ შორის: გადავადებული			
13		მათ შორის: აქციები და აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტები			
14		მათ შორის: გადავადებული			
15		მათ შორის: სხვა ფორმის			
16		მათ შორის: გადავადებული			
17	სულ ანაზღაურება		1,219,294	161,098	136,875

2019 წლის განმავლობაში ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის მფლობელობაში არ იყო აქციები, შესაბამისად უმაღლესი მენეჯმენტის მფლობელობაში არსებული აქციების ცხრილის შევსება არ არის აქტუალური. ასევე ბანკისთვის 2019 წლის განმავლობაში არ იყო აქტუალური განსაკუთრებული გადახდები და გადავადებული ანაზღაურება. სხვა ფორმის ფიქსირებულ ანაზღაურებაში იგულისხმება დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, შესაბამისად.

## 8. დანართი, რომელიც მოიცავს იმ წლიურ ცხრილებს რაც ხარისხობრივი გამყვანების მაჩვენებლებზე არ არის მიბმული.

ფასს (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები)-ის მიხედვით მომზადებულ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და საზედამხედველო მიზნებისთვის მომზადებულ ანგარიშგებას შორის კავშირი

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილები ასახავს კავშირს, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საზედამხედველო და ფასს- ის მიზნებისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს შორის.

ცხრილი 1: განსხვავებები ფასს- ის და საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ-ის) საზედამხედველო მიზნებისთვის წარმოდგენილ ბანკის აქტივებში

ა	ბ	გ	დ	ე
<b>აქტივები (როგორც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში)</b>	<b>გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საბალანსო დირებულებები</b>	<b>საბალანსო დირებულებები ფასს-ის მიხედვით საზედამხედველო მიზნებისთვის გამოყენებული კონსოლიდაციის დონეზე (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)</b>	<b>საბალანსო დირებულებები ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის წესების მიხედვით (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)</b>	<b>შენიშვნები</b>
ფული და ფულის ექვივალენტები	34,066,201	34,066,201	34,072,325	
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში	10,120,021	10,120,021	10,120,376	
მთხოვნები ბანკების მიმართ	0	0	0	
კლიენტებზე გაცემული სესხები	202,722,193	202,722,193	199,593,346	შენიშვნა 1
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	18,820,711	18,820,711	18,832,667	შენიშვნა 2
მოგება-ზარალში რეალური დირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	0	0	0	
ძირითადი საშუალებები	9,964,535	9,964,535	9,964,535	
გადავადებული საგადასახადო აქტივები	0	0	560,348	შენიშვნა 3
არამატერიალური აქტივები	1,931,247	1,931,247	1,931,247	
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	0	0	0	
სხვა აქტივები	3,000,621	3,000,621	2,915,984	შენიშვნა 4
<b>მთლიანი აქტივები</b>	<b>280,625,529</b>	<b>280,625,529</b>	<b>277,990,828</b>	

\* სებ – საქართველოს ეროვნული ბანკი

სვეტი (ა) და (ბ): დეტალური ჩამოლა თანხებისა და ფინანსური მუხლების, ისე როგორც წარმოდგენილია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს- ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ უწყისებში.

სვეტი (გ): იმის გამო რომ, ბანკს არ ყავს შვილობილი კომპანიები, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საკითხი არ არის აქტუალური, აქედან გამომდინარე თანხები, რომლებიც ნაჩვენებია (გ) სვეტში არის ზუსტად იგივე რაც (ბ) სვეტში. უფრო კონკრეტულად, (გ) სვეტის თანხები შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს- ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ უწყისებს.

სვეტი (დ): თანხების ჩაშლა, ისე როგორც წარმოდგენილია ეროვნული ბანკის მიხედვით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

**შენიშვნა 1:** ფასს-ის მიხედვით სესხები და მოთხოვნები გაუფასურების რეზერვის გამოკლებით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნებისა, როდესაც პროცენტის აღიარება არ არის მატერიალური. განსხვავება სებ-ის და ფასს-ის მიხედვით კლიენტებზე გაცემული სესხების ნაწილში არის შემდეგი მიზეზების გამო:

- აქტივების კლასიფიკაციის და დარეზერვების პოლიტიკები ფასს-ის და სებ-ის მიხედვით განსხვავდება. ბანკის ფასს-ის დარეზერვების პოლიტიკის მიხედვით სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის გაუფასურებული ფასდება ჯგუფური შეფასების პრინციპით. ჯგუფური გაუფასურების დანაკარგების რეზერვის შესაფასებლად ბანკი, ისტორიული გამოცდილების საფუძველზე და მოსალოდნელი მაკროეკონომიკური განვითარების სცენარების გათვალისწინებით, ანგარიშობს დეფოლტის ალბათობას და დეფოლტის შემთხვევაში მოსალოდნელი ზარალის ოდენობას სესხების ჩამოწერების და ჩამოწერის შემდგომ ამოღებების ანალიზის საფუძველზე. სებ-ის დარეზერვების პოლიტიკის მიხედვით, არსებობს რისკის ხუთი კატეგორია. პროგრამა ავტომატურად ითვლის თითოეული სესხის დონეზე რეზერვის განაკვეთს, ვადაგადაცილებული დღეების, უზრუნველყოფის, რესტრუქტურისაციის სტატუსის და ა.შ. კრიტერიუმებზე დაყრდნობით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების დანაკარგების რეზერვა სებ-ის და ფასს-ის პოლიტიკების მიხედვით შეადგინა 10,148,406 ლარი და 19,487,180 ლარი შესაბამისად.
- სებ - ის რეგულაციის მიხედვით, დარიცხული პროცენტი და ჯარიმა გაცემულ სესხებზე, რომელიც ვადაგადაცილებულია 30 დღეზე მეტით, უნდა გადავიდეს გარეზალანსურზე და აღარ აღიარდეს როგორც საპროცენტო შემოსავალი მოგება/ზარალის უწყისში. ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მსგავსი შეზღუდვა არ არსებობს, შესაბამისად ფასს-ის მიხედვით, გარეზალანსზე გადატანილი პროცენტი და ჯარიმა აქტიურ სესხებზე დაბრუნებულია ბალანსზე და შესულია კლიენტებზე გაცემულ სესხებში.
- სესხის გაცემის საკომისიოს კლიენტი იხდის სრულად სესხის გაცემის მომენტში. ფასს-ის სტანდარტების მიხედვით, ნებისმიერი მიღებული შემოსავალი უნდა გადანაწილდეს სესხის პერიოდზე. გაცემის საკომისიოზე გადავადებული შემოსავალი სებ-ის ანგარიშგებაში აისახება წელიწადში ერთხელ, აუდირებული ანგარიშგების გამოშვების შემდეგ, ხოლო ფასს- ის მიხედვით მომზადებულ ანგარიშგებაში აისახება ყოველთვიურად, შესაბამის პერიოდში. გადავადებული შემოსავალი გაცემულ სესხებზე შინაარსით ვალდებულების ანგარიშა და სებ- ის ფინანსურ ანგარიშგებაში შესულია ვალდებულებების ნაწილში, უფრო კონკრეტულად კი სხვა ვალდებულებების მუხლში.

**შენიშვნა 2:** ფასს 9-ის მიხედვით ფინანსურ ინსტრუმენტს - დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ექმნება შესაძლო დანაკარგების რეზერვი, ხოლო სებ-ის მიხედვით არ მოითხოვება ამ ტიპის ინსტრუმენტებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნა.

**შენიშვნა 3:** გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება იმ დროებითი სხვაობების მიხედვით, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო თანხებსა და დასაბეგრი მოგების გამოთვლისას გამოყენებულ საგადასახადო ბალანსში შესაბამის მუხლებს შორის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება, ჩვეულებრივ, აღიარებას ექვემდებარება ყველა გამოქვითვადი დროებითი სხვაობის შემთხვევაში, თუ სავარაუდოდ, იარსებებს ისეთი დასაბეგრი მოგება, რომელიც შეიძლება აღნიშნული გამოქვითვადი დროებითი სხვაობების გამოყენება. სებ-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გადავადებული გადასახადი გამოითვლება, სებ-ის ფინანსური ანგარიშგებასა და საგადასახადო ანგარიშგებას შორის გამოწვეული დროებითი სხვაობების მიხედვით, ხოლო ფასს-ის მიხედვით დაანგარიშებული გადავადებული გადასახადი, ფასს-ის ანგარიშგებასა და საგადასახადო ანგარიშგებას შორის გამოწვეული დროებითი სხვაობების მიხედვით.

**შენიშვნა 4:** სხვა აქტივების ნაწილში განსხვავების მიზეზი არის გადავადებული ხარჯი ნასესხებ სახსრებზე. შინაარსობრივად გადავადებული ხარჯი ამ ინსტრუმენტზე არის აქტივის ანგარიში და შესაბამისად სებ-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესულია სხვა აქტივების მუხლში, ხოლო ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გადავადებული ხარჯი გათვალისწინებულია შესაბამის ინსტრუმენტის ნაწილში და ამორტიზებულია ეფექური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

**ცხრილი 2: ცხრილი ქვემოთ აჩვენებს დეტალურად აქტივების ჩაშლას სტანდარტული საზედამხედველო მიზნებისთვის შედგენილ ფინანსურ ანგარიშგების ფორმატში.**

აქტივები (როგორც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში)	საბალანსო დირებულებები ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის წესების მიხედვით (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	3 საბალანსო დირებულებების გადაყვანა სტანდარტიზებული საზედამხედველო ანგარიშგების ფორმატში													
		1	2	3	4	5	6.1	6.2	6	7	8	9	10	11	12
		ნაღდი ფული	ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	ფასიანი ქაღალდები ლიონგური ოპერაციებისთვის	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	მთლიანი სესხები	მინუს: სესხების შესაძლო დანაპირების რეზერვი	წმინდა სესხები	დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	ლასაკოტორბული უძრავი და მოძრავი ქონება	ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	სხვა აქტივები	მთლიანი აქტივები
ფული და ფულის ექვივალენტები	34,072,325	10,200,900	22,109,768	1,761,656	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	34,072,325
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში	10,120,376	-	10,118,425	-	-	-	-	-	-	1,951	-	-	-	-	10,120,376
მოთხოვნები ბანკების მიმართ	0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0
კლიენტებზე გაცემული სესხები	199,593,346	-	-	-	-	-	206,353,371	(10,148,406)	196,204,965	3,388,381	-	-	-	-	199,593,346
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	18,832,667	-	-	-	-	18,806,184	-	-	-	26,483	-	-	-	-	18,832,667
მოგება-ზარალში რეალური დირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0
ძირითადი საშუალებები	9,964,535	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	9,964,535	-	9,964,535
გადავადებული საგადასახლო აქტივები	560,348	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	560,348	560,348
არამატერიალური აქტივები	1,931,247	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1,931,247	-	1,931,247
მიმდინარე საგადასახლო აქტივები	0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0
სხვა აქტივები	2,915,984	-	-	-	-	-	-	-	-	-	215,586	-	-	2,700,399	2,915,984
<b>მთლიანი აქტივები</b>	<b>277,990,828</b>	<b>10,200,900</b>	<b>32,228,194</b>	<b>1,761,656</b>	<b>0</b>	<b>18,806,184</b>	<b>206,353,371</b>	<b>(10,148,406)</b>	<b>196,204,965</b>	<b>3,416,815</b>	<b>215,586</b>	<b>0</b>	<b>11,895,782</b>	<b>3,260,747</b>	<b>277,990,828</b>

*სვეტი (1) დან (12): ჩაშლა აქტივების, ისე როგორც წარმოდგენილია საზედამხედველო მიზნებისთვის მომზადებულ ბალანსში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.*

ცხრილი 3: განსხვავებები ფასს-ის და ეროვნული ბანკის საზედამხედველო მიზნებისთვის წარმოდგენილ ბანკის ვალდებულებებში

ა	ბ	გ	დ	ე
ვალდებულებები (როგორც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში)	გამოქვეყნებულ ფასს ანგარიშგებაში მოცემული საბალანსო დირებულებები	საბალანსო დირებულებები ფასს-ის მიხედვით საზედამხედველო მიზნებისთვის გამოყენებულ კონსოლიდაციის დონეზე (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	საბალანსო დირებულებები ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის წესების მიხედვით (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	შენიშვნები
ბანკების დეპოზიტები	15,018,976	15,018,976	0	შენიშვნა 5
კლიენტების დეპოზიტები	169,133,192	169,133,192	169,123,348	
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	0	0	0	
ნასესხები სახსრები	24,020,550	24,020,550	39,122,489	შენიშვნა 5
მიმდინარე მოგების გადასახადი	400,315	400,315	0	შენიშვნა 6
სხვა ვალდებულებები	7,494,417	7,494,417	10,883,630	შენიშვნა 7
სუბორდინირებული სესხი	14,269,762	14,269,762	14,433,355	შენიშვნა 8
გადავადებული მოგების გადასახადი	375,692	375,692	0	
<b>მთლიანი ვალდებულებები</b>	<b>230,712,903</b>	<b>230,712,903</b>	<b>233,562,823</b>	

**შენიშვნა 5:** ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ანგარიშგებაში ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხი ასახულია ბანკის დეპოზიტებში, ხოლო ეროვნული ბანკის ანგარიშგებებში ასახულია ნასესხებ სახსრებში. სხვა განსხვავება გამოწვეულია ნასესხები სახსრების გადავადებული ხარჯის გამო. შინაარსობრივად ინსტრუმენტის გადავადებული ხარჯი აქტივის ანგარიშია და სეზ-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულია სხვა აქტივების მუხლში, ხოლო ფასს-ის მიხედვით მოზადებულ ანგარიშგებაში გადავადებული ხარჯი გათვალისწინებულია ნასესხები სახსრების მუხლში. გთხოვთ ასევე იხილოთ შენიშვნა 4.

**შენიშვნა 6:** მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ბანკის მიმდინარე ვალდებულება გაანგარიშებულია

საგადასახადო მოგებიდან გამომდინარე. ფასს-ს და სებ-ს შორის განსხვავება გამოწვეულია, იმით რომ 2020 წელს ჩატარებული 2019 წლის საგადასახადო აუდიტის ფარგლებში დაზუსტდა გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც აისახა ფასს-ის აუდირებულ უწყისებში, ხოლო სებ-ის მიხედვით 2019 წლის დეკემბრით მომზადებული უწყისები დარჩა უცვლელი.

**შენიშვნა 7:** განსხვავება გამოწვეულია გაცემულ სესხებზე გადავადებული შემოსავლის გამო, შინაარსობრივად ვალდებულების ანგარიშია და სებ-ის მიხედვით მომზადებულ ანგარიშგებაში შესულია ვალდებულებების ნაწილში, უფრო კონკრეტულად კი სხვა ვალდებულებების მუხლში. ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გადავადებული შემოსავალი გაცემულ სესხებზე გათვალისწინებულია გაცემული სესხების მუხლში. გთხოვთ იხილეთ ასევე შენიშვნა 1.

**შენიშვნა 8:** განსხვავება გამოწვეულია ნასესხები სახსრების გადავადებული ხარჯის გამო. შინაარსობრივად ინსტრუმენტის გადავადებული ხარჯი აქტივის ანგარიშია და სებ-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულია სხვა აქტივების მუხლში, ხოლო ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ანგარიშგებაში გადავადებული ხარჯი გათვალისწინებულია ნასესხები სახსრების მუხლში.



**ცხრილი 4: ცხრილი ქვემოთ აჩვენებს დეტალურად ვალდებულებების ჩაშლას სტანდარტული საზედამხედველო მიზნებისთვის შედგენილ ფინანსურ ანგარიშგების ფორმატში.**

		3									
		საბალანსო ღირებულებების გადაყვანა სტანდარტიზებული საზედამხედველო ანგარიშგების ფორმატში									
ვალდებულებები (როგორც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში)	საბალანსო ღირებულებები ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის წესების მიხედვით (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
		ბანკების დეპოზიტები	მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები)	მითხოვან დეპოზიტები	ვადიანი დეპოზიტები	საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	ნასესხები სახსრები	ღარიცხული გადასახდელი პროცენტები და ღირებულებები	სხვა ვალდებულებები	სუბორდინირებული ვალდებულებები	მილიანი ვალდებულებები
ბანკების დეპოზიტები	0	-	-	-	-	-	-	-	-	-	0
კლიენტების დეპოზიტები	169,123,348	-	9,444,321	31,101,299	124,637,020	-	-	3,940,708	-	-	169,123,348
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	0	-	-	-	-	-	-	-	-	-	0
ნასესხები სახსრები	39,122,489	-	-	-	-	-	38,513,195	609,294	-	-	39,122,489
მიმდინარე მოგების გადასახადი	0	-	-	-	-	-	-	-	-	-	0
სხვა ვალდებულებები	10,883,630	-	-	-	-	-	-	47,200	10,836,430	-	10,883,630
სუბორდინირებული სესხი	14,433,355	-	-	-	-	-	-	94,855	-	14,338,500	14,433,355
გადავადებული მოგების გადასახადი	0	-	-	-	-	-	-	-	-	-	0
<b>მთლიანი ვალდებულებები</b>	<b>233,562,823</b>	<b>0</b>	<b>9,444,321</b>	<b>31,101,299</b>	<b>124,637,020</b>	<b>0</b>	<b>38,513,195</b>	<b>4,692,058</b>	<b>10,836,430</b>	<b>14,338,500</b>	<b>233,562,823</b>

*სვეტი (13) დან (22): ჩაშლა ვალდებულებების, ისე როგორც წარმოდგენილია საზედამხედველო მიზნებისთვის მომზადებულ ბალანსში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.*

**ცხრილი 5: ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და საზედამხედველო მიზნებისთვის მომზადებულ კაპიტალის ანგარიშგებას შორის კავშირი**

ა	ბ	გ	დ	ე	3								
					საბალანსო დირებულებების გადაყვანა სტანდარტიზებული საზედამხედველო ანგარიშგების ფორმატში								
					23	24	25	26	27	28	29	30	
კაპიტალი (როგორც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში)	გამოქვეყნებულ ფასს ანგარიშგებაში მოცემული საბალანსო დირებულებები	საბალანსო დირებულებები ფასს-ის მიხედვით საზედამხედველო მიზნებისთვის გამოყენებულ კონსოლიდაციის დონეზე (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	საბალანსო დირებულებები ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის წესების მიხედვით (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	შენიშვნები	ჩვეულებრივი აქციები	პრივილეგირებული აქციები	მინუს: გამოსყიდული აქციები	საემისიო კაპიტალი	საერთო რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	აქციების გადაფასების რეზერვი	სულ სააქციო კაპიტალი	
სააქციო კაპიტალი	25,643,200	25,643,200	25,643,200		25,643,200	-	-	-	-	-	-	-	<b>25,643,200</b>
გაუნაწილებელი მოგება	24,269,427	24,269,427	18,784,805	შენიშვნა 9	-	-	-	-	-	18,784,805	-	-	<b>18,784,805</b>
<b>მთლიანი კაპიტალი</b>	<b>49,912,627</b>	<b>49,912,627</b>	<b>44,428,005</b>	<b>0</b>	<b>25,643,200</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>18,784,805</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>44,428,005</b>

